საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №57 (1687) | 15–21 სექტემბერი. 1998წ. | ● ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჯერად მიზანში ქართული მასმედიაა?!

მე-11 გვ.

სამცხე-ჯავახეთში კატასტროფული მდგომარეობაა

მე-11 გვ.

მრუდე სარკეების ქვეყანა, ანუ ამას სახელმწიფოს მართვა ჰქვია?!

მეორე გვერდი

კომენტარი პრეზიდენტის 7 სექტემბრის რადიოინტერვიუზე

მე-4 გვ.

ვაცლავ ჰაველი: ხალხს ისეთი პოლიტიკოსები ჰყავს, როგორსაც იმსახურებს

მესამე გვ.

ამიერკავკასიის პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ძვ. წ. ა. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში

ინტერნეტი და საქართველოს საკითხები

მე-6 გვ.



მეცხრე გვ.

სამართალი

„ინტერვიუ" განაჩენთან

ჯავახეთში სომხებმა წითელი ბარათი გვიჩვენეს, ჩვენ კი ისევ სირაქლემობანას ვთამაშობთ

მე-2 გვ.

მე-10 გვ.

ხმა ხალხიდან

მრუდე სარკეების ქვეყანა, ანუ ნუთუ ამას სახელმწიფოს მართვა ჰქვია?

საქართველოში დღეისათვის მძიმე სიტუაცია შეიქმნა. ხალხი საძოვარზე მიშვებულ ნახირს დაემსგავსა — მათი ერთადერთი საფიქრალია თავი როგორ ირჩინონ. არ იგრძნობა მომავლის, სამართლიანობის იმედი და რწმენა, ეს კი ერის დაშლის დასაწყისს მოასწავებს. აქ განგაშია ასატეხი. მეც არ შემიძლია ჩემი — უპარტიო, მიუკერძოებელი, რიგითი ქართველის პოზიციიდან დანახული სიმართლე არ ვთქვა.

ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად ემსგავსება ე. წ. „მრუდე სარკეების ქვეყანას“, სადაც ყველაფერი დამახინჯებულად აისახება, სადაც „ეროვნული“ და „პატრიოტი“ სამარცხვინო და სალანძღავ სიტყვებადაა ქცეული. სადაც ქვეყნის გადაქცევა „კორიდორად“ („проходной двор“) მის მმართველთა პანაცეადაა ქცეული (?!) და ანგარში არ ეწევა, რომ ამ საქმეს დადებითთან ერთად ეროვნულობის თვალსაზრისით აქვს ერთობ უარყოფითი მხარეებიც. ჩვენთან რატომღაც აქცენტი კეთდება მეორეხარისხოვან საკითხებზე, პირველი რიგისაზე კი (მაგალითად, საკუთარი ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებაზე) ისე, სხვათაშორის საუბრობენ. ასევე არავითარი ყურადღება არ ექცევა დამოუკიდებლობის აუცილებელ ატრიბუტს — ეროვნული ჯარის გაძლიერებას, მის საჭიროებებს.

ცხადია, პირველ რიგში ამაზე პასუხი ხელისუფლებას, პრეზიდენტს მოეთხოვება. მაგრამ არანაკლებ სცოდავენ ასე მომრავლებული ფსევდოპარტიები, რომლებიც სიტყვით ეროვნულობას იჩემებენ, საქმით კი საწინააღმდეგოს აკეთებენ — ერთმანეთის ლანძღვაში გართულებს ერის ინტერესები გვერდზე რჩებათ და როგორც კი რეალური საქმის კეთებისა და შეკავშირების დრო დგება, ყუჩდებიან ან... უფრო უმატებენ ურთიერთლანძღვას(?!). აშკარაა — ამბიციურობისაგან გონდაკარგულებს ერთადერთი მიზანი — ხელისუფლებაში მოსვლა და „თბილი ადგილები“ ამოძრავებთ და არა ქვეყნის ბედზე ზრუნვა. სწორედ ფსევდოპარტიების დამსახურებაა, სიტყვა „ეროვნული“ რომ გაუფასურდა და სალანძღავ სიტყვად იქცა!



ეროვნულ ძალთა გათიშულობით მარჯვედ სარგებლობენ დამოკრატთა ნიღაბმორგებული ყოფილი კომუნისტები (თუმცა მათ შორისაც მოიძებნებიან წესიერი ადამიანები) და ჩარბუზანა აქვთ გაჩაღებული საქართველოში, რომელიც დღეს უპატრონო ეკლესიას დამსგავსებია: ქვეყანაში გაუსაძლისი ყოფაა შექმნილი, ხალხი გარბის, ვისაც სად წაესვლება (ნახეთ, საელჩოებთან რა ხდება!). ხელისუფლება თავისი უმოქმედობით შეგნებულად ხელს უწყობს ამგვარ ვითარებას, რადგან ასეთ პირობებში — ქაოსისა და გათიშულობის დროს ძალაუფლების შენარჩუნება ადვილია. რომ იტყვიან, ქვეყნის ბედი ღვთის ნებაზეა მიშვებული. ზოგჯერ ისეთი რამ ხდება, გაკვირვებული რჩები: არსებობს კი ამ ქვეყანაში ხელისუფლება, კანონები? რატომ პარპაშებენ ასე დამნაშავეები, ხაზინის ქურდები? რატომაა ასეთი განუკითხაობა?

ხშირად ამას ხსნიან იმით, თითქოს პრეზიდენტმა ამის შესახებ არაფერი იცისო. მაგრამ კარგადაა ცნობილი მისი პიროვნება, უმისოდ ქვეყანაში არაფერი ხდება (ამის შესახებ ერთ-ერთ რადიოინტერვიუში თვითონ განაცხადა). საკითხავია მხოლოდ: რატომ არ სჯის ხაზინის ქურდებსა და დამნაშავეებს, რატომ არ იცავს თავის მოქალაქეთა ინტერესებს? განა ეს მისი, როგორც პრეზიდენტის უპირველესი მოვალეობა არ არის? განა ამისთვის არ აირჩია ის ხალხმა? რატომ ხდება, რომ პრეზიდენტი დამნაშავეთა შეწყალება-არშეწყალების დრო:ს ხელმძღვანელობს არა კანონთა უზენაესობის პრინციპით, არამედ საკუთარი სუბიექტური შეხედულებებით, რითაც, რბილად რომ ვთქვათ — ცუდ მაგალითს აძლევს სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებსა და სხვებს, რის გამო, ყველგან კანონის უგულებელყოფა და უპატიცემულობაა ქვეყანაში.

ასეთ დროს ნებისმიერ საღად მოაზროვნეს ლოგიკურად დაებადება აზრი: თუ პრეზიდენტს შეუძლია ზომების მიღება, შესწევს ამისი ძალა (ეს კი ასეა), ქვეყანაში კი მაინც დაუსჯელობა და განუკითხაობაა, მაშასადამე, რა გარემოებასთან გვაქვს საქმე? უნებლიეთ გახსენდება „მღვრიე წყლის“ არაკი. ბევრნი ამაზე ღიად საუბრობენ. ან როგორ არ ილაპარაკებენ. ავიღოთ ენერგეტიკის სფერო: რამდენი კრედიტები, დახმარება გაიფლანგა. გაიხსენეთ „ლეგენდარული“ მე-9 ბლოკი, რომელიც რამდენჯერ „აღადგინეს“ და... მაინც უშუქობაში ვიყავით. ხოლო გაფლანგული მილიონებისათვის ბუზიც არავისთვის აუფრენიათ. ეგ არის — ზუბიტაშვილი „დასაჯეს“ და... ...ნავთობპროდუქტებით მომარაგების სამმართველოს უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს(?!!), ხოლო ბადურაშვილი მგონი დღესაც ძველ ადგილას მუშაობს (ასევე ხაშურის გამგებლის საქვეყნოდ გახმაურებული ამბავი). აი ამას უწოდებენ დღევანდელი ხელისუფლები „მუშაობას“: ერთი მსუყე ადგილიდან, მოპარულ მილიონებთან ერთად, მეორე მსუყე ადგილას გადაჰყავთ. ბუნებრივია, ასეთ დროს იფიქრებ, რომ მილიონები „უკვალოდ“ სულაც არ ქრება, როგორც ხშირად ამტკიცებენ, არამედ მიდის ხელისუფალთა უმაღლეს ეშელონებში და შემდეგ „კვალს“ საგულდაგულოდ თვითონვე შლიან, დაუსჯელობის გარანტიებიც კი შეიქმნეს წინასწარ: მოირგეს „ჰუმანისტთა“ ნიღბები და „ადამიანთა სიცოცხლეზე“ ზრუნვის საბაბით გააუქმეს კანონები „სიკვდილით დასჯისა“ და „ქონების კონფისკაციის“ შესახებ. ამგვარად, მოირგეს ყველა კანონი თავის თავზე, მოსდგნენ ქვეყანას და უმოწყალოდ ძარცვავენ.

მართლაც, რაში აწყობდა ვინმე პარლამენტარ სიორიძეს კანონი კონფისკაციის შესახებ? ტელევიზიით „დაგვათვალიერებინეს“ მისი სასახლე მცხეთაში. მერე რა აქედან? ახლა ბევრიც რომ რაიმე „გამოუჩხრიკონ“, მის „კუთვნილ“ სასახლეს ვერავინ შეეხება — კანონი კონფისკაციის შესახებ აღარ არსებობს (აი თურმე რისთვის აუქმებდნენ ამ კანონს) და დატაცებული ეროვნული სიმდიდრის გარკვეული ნაწილი ქვად და ხედ ქცეული, სამუდამოდ მის საკუთრებაში დარჩება (?!). აი, ასე „ზრუნავენ“ უმაღლეს ეშელონებში მყოფი პირები ხალხზე, ესაა დღევანდელ ხელისუფალთა წარმომადგენლის ტიპური სახე, მათი „მუშაობის“ სტილი, ამოსავალი პრინციპი და მიზნები.

ეს ხომ შესანიშნავად იცის პრეზიდენტმა. მაგრამ სიორძისთვის არც პასუხი მოუთხოვია და არც „გვერდიდან“ მოუცილებია. აქედან გამომდინარე, თუ ხაზინის ქურდებს ის თავის მტრებად არ თვლის

გაგრძელება მე-6 გვ.

ჯავახეთში სომხებმა წითელი ბარათი გვიჩვენეს, ჩვენ კი ისევ სირაქლემობანას ვთამაშობთ

დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა ერთი ბრმის ანეკდოტს მაგონებს. ბრმას ცოლი მოუკვდა, მაგრამ არ იქნა და ვერ დააჯერეს, ბოლოს, მობეზრდათ და თქვეს



— გვერდით რომ არ მიუწვება, მაშინ ხომ დაიჯერებსო.

ჩვენი მდგომარეობაც ზუსტად ასეა; დავკარგეთ აფხაზეთი და ქართველთა დიდ ნაწილს თითქოს ჯერაც არ გაუგია და არც აინტერესებს — ვისია აფხაზეთი; ის კი არადა, უკვე რამდენიმე ხანია საინფორმაციო საშუალებანი იუწყებიან — აფსუები და რუსი „მშვიდობისმყოფელნი“ ენგურზე სასაზღვრო მავთულხლართებს აკეთებენ და ჩვენი შესაბამისი სახელმწიფო უწყებანი კი არც ადასტურებენ და არც უარყოფენ ამას. მომხდარი ფაქტის წინაშე კი შემდეგში ხელს ჩაიქნევენ, რუსეთი არ გავანაწყენოთო და, ალბათ, ამით დამთავრდება ყველაფერი.

არადა, ინტერნეტში გაშვებული მასალებით საცნაური ხდება, რომ ჩვენ ამჯერადაც ვაგებთ საინფორმაციო ომს და მალე იმ ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით, რომ აფხაზეთს დეიურედაც ისე მოულოდნელად, უჩვენოდ აღიარებენ, რომ ჩვენ აზრზეც არ ვიქნებით.

და ეს ყველაფერი თითქოს კიდევ ვერ დაუჯერებიათ ჩვენში.

ასევე ყველაფერი თითქოს მივიწყებული და მიჩუმათებულია და არ უნდათ დაიჯერონ, რომ სამაჩაბლო ანუ ოსურად „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ თავისი ცხოვრებით ცხოვრობს.

სამაგიეროდ, რუსეთის საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ მალე ეუთო თვითონ გადაწყვეტს „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის საკითხს, ხოლო თავად „სამხრეთ ოსეთი“ კი, საქართველოს ზურგს უკან, დსთ-ში ითხოვს თურმე

გაგრძელება მე-6 გვ.

საქართველოს მრეწველობის ფლაგმანს ყიდიან

საავიაციო ქარხნის მუშაკები გაიფიცნენ. მოითხოვენ: პირველ სექტემბრამდე ხელფასების გაცემას, მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის შეწყვეტას, საავიაციო ქარხნის სამუშაო რეჟიმის აღდგენას, ქარხნის მომსახურე პერსონალის დემორალიზებისა და ქარხნის ქონების გატანა-განიავების შეწყვეტას, დირექტორის გადადგომას. იმ შემთხვევაში, თუ არ შესრულდება ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები, ისინი იწყებენ მჯდომარე აქციას ქარხნის კოლექტიურ საკუთრებაზე გადასვლის მოთხოვნით არსებული საერთაშორისოდ აღიარებული უფლებადაცვითი ნორმებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორც სახელდახელო მიტინგზე შევიტყვეთ, საავიაციო ქარხნის დირექტორს ვაჟა თოდრიას საინჟინრო პერსონალის კრება ჩაუტარებია. მოსვლისთანავე საუბარი რუსულად დაუწყია. თანამშრომლის შეკითხვაზე, რა ენაზე იქნება ჩვენთან წარმოებაო, ირონიული პასუხი გაუცია — რა თქმა უნდა, მეგრულადო.

მოკლედ, როგორც საგაფიცვო კომიტეტში შევიტყვეთ, ქარხნის მუშაკებს საკმაოდ მძიმე ბრალდებები აქვთ ადმინისტრაციისადმი — ათეული მილიონობით ღირებულების ქონების განიავება და სხვა მრავალი, რომლის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

მუშა-მოსამსახურეების სამართლიან მოთხოვნას სოლიდარობა გამოუცხადეს სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა, მაგრამ პროტესტანტებმა მათთან თანამშრომლობაზე უარი თქვეს. ეს სამწუხაროა, ვინაიდან საქართველოს მრეწველობის ფლაგმანის — თბილისის საავიაციო ქარხნის ჩახშობა-განიავებას ყოფითი მხარის გარდა ძალიან და ძალიან სერიოზული პოლიტიკური მხარეც აქვს. ამ უკანასკნელის კომენტირება ზედმეტი არ იქნება. ამიტომ, რბილად რომ ვთქვათ, „სამუშაო ჰიპოთეზის“ სახით ერთიორი მოსაზრება უნდა შემოგთავაზოთ:

საქართველოს მეცნიერული და ტექნიკური აზრს ანგარიშგასაწევი პოტენციალი აქვს. ტექნიკური საშუალებებიცა და რესურსებიც საკმარისი ჰქონდა, სანამ მარიონეტული ძალები მის განადგურებას შეუდგებოდნენ. როგორ უნდა მოიქცეს მარიონეტული ხელისუფლება საქართველოს სათავდაცვო-სამრეწველო პოტენციალის მდგომარეობის დღევანდელ პირობებში? ერთ-ერთი გზა ასეთია: შეუკავშირდეს რუსეთის ორგანიზაციებს, მათი თავდაცვის სამინისტროს ჩათვლით, და საქართველოს აბრით რუსული იარაღი აღმოსავლეთის ქვეყნებში ყიდოს. ამ „ოპერაციის“ გამზეურება, რასაკვირველია, დემოკრატიული ქვეყნების გულისწყრომას გამოიწვევს და ამას მოჰყვება არა მხოლოდ ჩვენი მრეწველობის გაჩერების მოთხოვნა მათი მხრიდან, არამედ სათანადო ნედლეულის „ამოღების“ ანუ საქართველოსათვის ჩამორთმევის ღონისძიებებიც (საკითხავია: ამ ფაქტორებმა ხომ არ განაპირობეს საქართველოდან იმ ნედლეულის სავალდებულო წესით წაღება, რომელიც მუხათგვერდში განლაგებულ ცნობილ კვლევით დაწესებულებას ეკუთვნოდა?). მკითხველს, ალბათ, ეჭვი არ ეპარება, რომ მარიონეტული ხელისუფლება პირველ ყოვლისა ასეთ გზას აირჩევს და თან საწარმოებში დაგროვილი სტრატეგიული ნედლეულის მარაგსაც და დაზგებსაც გაყიდის. საავიაციო ქარხანამ ჩალის ფასად გაყიდა საზღვარგარეთ ლითონთა უდიდესი მარაგი და განსხვავება — ათობით მილიონი დოლარი — ალბათ, „სამართლიანად“ გაანაწილა ოპერაციის მონაწილეთა შორის.

ქარხნის დირექტორი ვაჟა (პანტიკო) თორდია არა მხოლოდ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიდის, არამედ კანონსაც არღვევს. იგი, ალბათ, ვერ დაიმალება, როცა არსებული ხელისუფლება წავა. სამართალი მას, როგორც იტყვიან, მიწიდან ამოიღებს და პასუხს აგებინებს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ძირის თხრისათვის.

კოზა კაპანაძე

ვაცლავ ჰაველი: ხალხს ისეთი პოლიტიკოსები ჰყავს, როგორსაც იმსახურებს

ვაცლავ ჰაველი დაიბადა 1936 წელს. დამთავრა პრაღის ნატიფი ხელოვნების აკადემიის თეატრალური ფაკულტეტი. პოლიტიკური საქმიანობისათვის არაერთგზის განუცდია დევნა. ის 1989 წელს შექმნილი ოპოზიციური ორგანიზაციის, „სამოქალაქო ფორუმის“ ლიდერია. 1993 წლის იანვარში აირჩიეს ჩეხეთის პრეზიდენტად. ჰაველს მინიჭებული აქვს ავსტრიის რენერის სახელობის პრემია ადამიანის უფლებათა დასაცავად აქტიური ბრძოლისა და ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის კულტურული თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, აგრეთვე, ულოფ ჰალმეს სახელობის პრემია.

ეს სტატია ნაწყვეტია ჰაველის წიგნისა „ფიქრები ზაფხულში“.

რაგინდ სასაცილოდ და დონკიხოტურად უნდა გამოიყურებოდეს ახლანდელ სიტუაციაში, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ისევ და ისევ ხაზი გავუსვა ყოველგვარი ნამდვილი პოლიტიკის ზნეობრივ ბუნებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (ეკონომიკაშიც) ზნეობრივი ღირებულებებისა და კრიტერიუმების უპირველეს მნიშვნელობას. ისევ და ისევ მინდა გავიმეორო: თუ ჩვენ, ყველანი არ შევეცდებით გამოვნახოთ ან საკუთარ თავს ჩავუნერგოთ ის, რასაც მე „უმაღლეს პასუხისმგებლობას“ ვუწოდებ, ჩვენს ქვეყანას კარგი არაფერი მოელის.

თავისუფლების მოპოვებას ჩვენი საზოგადოებისათვის, ამასობაში ძირფესვიანად უზნეო რომ გახდა, მოჰყვა ალბათ ბუნებრივი ეფექტი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, გაცილებით უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე შეიძლებოდა წარმოგვედგინა: ადამიანის ყოველგვარ ცუდი თვისებების უმძლავრესი, ლამის დამაბრმავებელი აფეთქება! სხვადასხვაგვარ ბნელ და საეჭვო მიდრეკილებებს, რომლებსაც სამსახურისათვის ამკვიდრებდა ტოტალიტარული სისტემა, უცებ თითქოსდა გახადეს გიჟის პერანგი და სრული თავისუფლება მისცეს. დაინგრა ძველი წეს-წყობილება, რომელიც ავტორიტარული რეჟიმის დროს ამ მიდრეკილებებს ზღუდავდა გარკვეული ჩარჩოებით და ამით ახდენდა მათს „ლეგალიზებას“. არადა, ახალი წეს-წყობილება, რომელიც არათუ შეაკავებდა, არამედ სრულიად აღმოფხვრიდა მათ, — წეს-წყობილება, — მხოლოდ თავისუფლად ნაკისრ პირად პასუხისმგებლობაზე რომ იქნებოდა დაფუძნებული, ჯერ კიდევ არ შექმნილა. არც შეიძლებოდა შექმნილიყო, ასეთი რამ ხომ ძალიან ნელა იბადება და ვითარდება. ასე რომ, ჩვენს წინაშე ახლა საოცარი მოვლენა ხდება: საზოგადოება თავისუფალია, მაგრამ ამავე დროს ზოგ რამეში უწინდელზე უარესად იქცევა. საქმე მარტო ის როდი გახლავთ, რომ მკვეთრად იზრდება ყოველგვარი დამნაშავეობა, ვლინდება უარესი სიმპტომებიც: ეროვნებათაშორისი შუღლი და ეჭვიანობა, რასიზმი, ის კი არა და, ფაშიზმიც კი, უშინაარსო დემაგოგია, ინტრიგები და წინასწარგანზრახული სიცრუე. უფრო მეტიც: წარმოიშვა იდეოლოგიის ახალი კულტი. თითქოსდა დრომოჭმულმა მარქსიზმმა დაგვიტოვა გამაღიზიანებელი სიცარიელე, რომელიც, რადაც უნდა დაჯდეს, საჭიროა შეივსოს.

თვალი გადავავლოთ მხოლოდ

გაგრძელება მე-4 გვ.

მეხანძრეები შეიძლება გაიფიცონ!

ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ზ. ჟვანიას, ფინანსთა მინისტრს, მ. ჭკუასელს და შინაგან საქმეთა მინისტრს, კ. თარგამაძეს

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი უცვლელი სახით დაგვიბეჭდოთ თქვენს გაზეთში. თქვენ განდოგთ აგზაცების დარეგულირებას, ამავე დროს იმედი გვაძვს უახლოეს ნოემერში გამოძვეყნებისა, სანამ შიმშილმა გოლო არ მოგვიღო. იძნებ მიიტანოს გულთან ვინმემ ჩვენი გაუსაძლისი ცხოვრება...

მთელი საქართველოსათვის ცნობილია, რომ წინასაარჩევნო „მახარებელი“ განაცხადი ტელევიზიით უკვე გააკეთეთ. ალბათ პრესაშიც „გააბრწყინებდით“ — თურმე ნოემბრისათვის ხელფასები და პენსიები იზრდება 10%-ით. ძალიან შერბილებულად რომ დავახასიათოთ ეს განცხადება, მაინც გამოდის, რომ ეს არის სამარცხვინო განაცხადი (იმ ქვეყნისათვის, რომელსაც მთელი მსოფლიო დონორად მოევლინა და ამ დონორებმა კი არც იციან, ვისი ჯიბე ივსება ამ დახმარებით), ჯერ ერთი იმიტომ, რომ სატირალ-სასაცილო ხელფასის და პენსიის 10% ჭინჭველის თირკმელის ოდენაა და მეორეც იმიტომ, რომ ამ მათხოვრულ პურის ლუკმას (და არა ნატეხს, რომელიც ლუკმაზე დიდია) გადმოგვიგდებენ ნოემბრის არჩევნების წინა დღეებში მოსახლეობის მოსაქრთამად და თვალის ასახვევად. იმედი გაქვთ, მოსახლეობა წამოეგება თქვენს ანკესზე. თქვენი ანკესი დამძიმდა თქვენივე ცოდვებით და ძველებური სიბრმავით ხმას ველარ მოგცემთ ჩვენო „ამშენებელო“ და „დამპურებელო“ „მოქალაქეთა კაშირო!“. რა ფანდი უნდა მოიგონოთ, რომ თქვენგან გამწარებული, დამშეულ-დატტვლებული, ბუდემოშლილი, სამშობლო გაძარცულ-გაყიდული და „მილიონ სამუშაოს“ ვინ ჩივის, ერთი და თითო ადგილის ძებნაში დაქანცული მოსახლეობა ვერ მიგიხვდეთ?! კმარა ამდენი კომედიანტობა და თვალში ნაცრის ფრქვევა. ხალხი თქვენგან დაიღალა.

უზომოდ დავიღალეთ თქვენ და თქვენივე ძმაკაცების გაცვეთილი, ყბადაღებული, შუბლისძარღვგაწყვეტილი ლოზუნგებით — თურმე ყოველგვარი გადასახადები და სხვა ამგვარი შემოსავლები ბიუჯეტში ხმარდება მხოლოდ ჩვენს ხელფასებს, ჩვენს პენსიებს. თურმე როგორი ხელგაშლილები ყოფილხართ, რა დიდი პენსია

და ხელფასი გაგიციათ?! ისიც ხმამაღლა, ყველას გასაგონად ტელევიზიით განაცხადეთ, რომ ამ ბიუჯეტიდან ჩვენი პენსიებისათვის და ხელფასებისათვის იმდენი აკლდება, რამდენიც გულმოწყალე ადამიანის ჯიბეს, რომელიც უპოვარს 5 თეთრს მიუგდებს. დანარჩენი ნაწილი ბიუჯეტისა სად მიდის? რა კეთდება საქართველოში ხალხისა და ქვეყნისათვის აუცილებელი. გულახდილად გვითხარით, რომ ბიუჯეტი ხმარდება თქვენი და თქვენისთანების მიერ „ქოხების“ შეძენას საზღვარგარეთ. „მოქალაქეთა კავშირის“ ბირთვის ბობოლა წევრებისაგან გაძარცულ-გაყიდული საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საწარმოების და ბინების შეძენას გროშის ფასად. თორემ ჩვენ შეგვრჩა ტიტლიკანა საქართველო დაპირებების ძონძებში გამოხვეული. გამალებულები აბანდებთ „თქვენი“ ბანკიდან „აღებულ ვალებს“ და ხელფასიდან „დანაზოგ კაპიკებს“ ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის და დაღვრილი ოფლის ფასად შეძენილ-შექმნილ ქონებაში. თითქმის ყოველ დღე, ვისაც კი არ გეზარებათ, ტელეეკრანიდან ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ტყუილი დაპირებების კორიანტელის დაყენება, ღაღადებთ, რომ თურმე ქვეყნის ბიუჯეტი მხოლოდ ჩვენს ხელფასებსა და პენსიებს ხმარდება. ამიტომაც, ყელში

გაგრძელება მე-4 გვ.

პრობლემა არ გამქრალა, იგი მხოლოდ მივიწყებულია

მომთაბარე სელჩუკ-ოღუზ-თურქმენები და საქართველო

(ისტორია და შედეგები)

...XVI საუკუნეში კახეთის მეფემ ლევანმა თავისი სასახლის მახლობლად ქეგამში რამდენიმე ოჯახი ლეკი ჩამოისახლა, რომელთაც ევალებოდათ... ზაფხულში მთაში არბენა და ფერდოებში აქა-იქ დარჩენილი თოვლის ჩამოტანა ღვინის ჩასაციებლად. იმ ლეკებს სხვებიც მოჰყვნენ. შაჰ-აბასის მიერ კახეთის განადგურებისა და აყრის შემდეგ ალაზნის ძვემოწელში ლეკობა მასობრივად ჩასახლდა და შაჰის მიერ საქართველოსაგან პოლიტიკურად მოგლეჯილი ეს მხარე მოსახლეობითაც სანახევროდ არაქართული გახდა. ისტორიული საქართველოს ამ უმდიდრესი და უმშვენიერესი კუთხის საინგილოს (ნამდვილი სახელით: აღმოსავლეთ კახეთის) მოსახლეობას დღეს შეადგენენ „აზერბაიჯანელებად“ ჩაწერილი ხუნძი (ავარი) და წახური ლეკები, მაჰმადიანი და ენადაკარგული ქართველები, რომლებიც აგრეთვე „აზერბაიჯანელებად“ აღირიცხებიან, ნამდვილი აზერბაიჯანელები, მუღალები (რომლებიც მონღოლთა შთამომავლებად ითვლებიან) და ქართულ ენაშემონახული ქართველები ორივე სარწმუნოებისა (ქრისტიანებიც და მაჰმადიანებიც). ამათში მაჰმადიანები „აზერბაიჯანელებად“ აღირიცხებიან სახელმწიფოს მიერ.

რუსეთის ხელისუფლებამ XIX საუკუნეში ამ მხარეში გამართულ ეთნიკურ მეტოქეობაში, არსებითად, ლეკების მხარე დაიჭირა და არა ქართველებისა. საბჭოთა პერიოდში რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ რეპრესიისა და ტერორის ის უსაზღვრო შესაძლებლობები, რასაც მას რეჟიმი აძლევდა, პირველ ყოვლისა ქართველობის დასათრგუნად გამოიყენა. მუსლიმან ინგილოთა სოფ. ალიაბადში დღესაც იციან ის ადგილი, სადაც მასობრივი ხვრეტა და მსხვრალთა აღირიცხავი დამარხვა მიმდინარეობდა. დღეს, ისევე, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ ტარდება უწყალო ასიმილაციის პოლიტიკა, ხოლო ქართველი ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ — უწყალო ეკონომიკური და ადმინისტრაციული შევიწროების

პოლიტიკა მისი გამოდევნის მიზნით.

საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემის შესახებ დუმდა და დუმს. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებულ გულგრილობას მეზობელ რესპუბლიკაში მოყოლილი ქართველი მოსახლეობისადმი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ინგილოთა დახმარების ვეტერანთა ცნობით, მაშინ იჩენდა, როცა მის სათავეში ე. შევარდნაძე იყო.

საქართველოს ხელმძღვანელთა სიბეცე და უგუნურება იმ დროს, პირველ ყოვლისა, ის იყო, რომ მათ არ ესმოდათ: როგორც კი ინგილოების საკითხი დღის წესრიგიდან გაძრება, მაშინვე გაძლიერდება უსამართლო და პროვოკაციული ფუსფუსი იმათი მხრიდან, ვინც საქართველოში რესპუბლიკის ხელისუფლებასა და აქაურ აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის განხეთქილების ჩამოგდებას ლამობს.

დღეს, როცა საქართველო და აზერბაიჯანი კომუნისტურ-ინტერნაციონალისტური ფრაზებით კი არ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, როგორც საბჭოთა დროში იყვნენ, არამედ მტკიცე სტრატეგიული მოკავშირეობით, ინგილოთა მდგომარეობის გაუმჯობესების ბევრად უკეთესი შესაძლებლობები არსებობს. საქართველოს ხელისუფლება მათ არ იყენებს და ვერ იყენებს.

ვაძვეყნებთ ჩვენ ხელთ არსებულ მონოგრაფიული ტიპის მასალას ამ მხარისა და მის თავზე გადავლილი ისტორიული ქარტეხილების შესახებ.

ჩვენი ერის ისტორია არის გამუდმებული ომებისა, გმირობის და ღალატის ისტორია. ქართველები საუკუნეების განმავლობაში თავს იცავდნენ „სპარსელებისაგან, რომაელებისაგან, არაბებისაგან, სელჩუკი თურქებისაგან, თათრებისაგან, მონღოლებისაგან, ოსმალებისაგან“... (როგორც წერს თანამედროვე თურქი ავტორი, პროფ. თურქქაია ათაოვი „ჩვენებური“, №26, 1997. გვ. 4) და სხვა მრავალ ახლო თუ შორეულ მეზობლებისაგან“. ის მიწა-წყა-

გაგრძელება მე-7 გვ.

კომენტარი პრეზიდენტის 7 სექტემბრის რადიოინტერვიუზე

პრეზიდენტი მართალს ამბობს

პრეზიდენტის სიტყვით, **„არ არსებობს ამჟამად ლარის კურსის დაცემის არანაირი ეკონომიკური საფუძველი“.** დიახ, მართალია. მაგრამ საკითხავია, არსებობს თუ არა ამის არაეკონომიკური, სახელდობრ, პოლიტიკური საფუძველი? აქვს



საქართველოს ხელისუფლებას იმის გამბედაობა და იმის „უფლება“, რომ რუსეთში „დატრიალებულ ქარიშხალს“ ზღუდე დაუდგას და მას საქართველო არ დააზარალებინოს? რომ რუსეთის ხელისუფლების წამგებიანი ეკონომიკური ნაბიჯების საქართველოში დუბლირება არ მოახდინოს? თუ აქვს, მაშინ იბადება კითხვა: რატომღაა, რომ საქართველოს ხელისუფლება თანხმდება საქართველოში მრეწველობის (და, საერთოდ, წარმოების) ჩახშობის პოლიტიკის გატარებას, რომელსაც რუსეთთან მიმართებაში დიდი მსოფლიო-პოლიტიკური აზრი აქვს, საქართველოსთან მიმართებაში კი არავისთვის არავითარი აზრი არა აქვს? გავხსნათ ფრჩხილები. რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მსოფლიოსათვის სახიფათოა და ამიტომ რუსეთისგან მოითხოვენ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რომელიც ამ კომპლექსს დათრგუნავს. მაგრამ ვისთვის არის სახიფათო ჩვენი ქვეყნის მრეწველობა და ვისი უსაფრთხოება მოითხოვს, რომ საქართველოს საწარმოები, მათ შორის 31-ე ქარხანა, ჩალის ფასად გაყიდონ ან მისგან მხოლოდ საამქროთა შიშველი კედლები დატოვონ?

ამ მხრივ მრავლის მთქმელია ის, თუ როგორ წარმოუდგენია პრეზიდენტს საქართველოს დაცვა მეზობელ ქვეყანაში ამოვარდნილი „ფინანსური ქარიშხლისაგან“. აი მისი გეგმა: **„საბანკო სისტემის გარეთ მიმოქცევაში არსებული უცხოური ვალუტისა და ლარის ბანკებში მოზიდვა, გადამცვლელი პუნქტებისა და საბაჟო სამსახურის მუშაობის ყოველმხრივ გააქტიურება — ყველა ამ ღონისძიების განხორციელება მოგვცემს სრულ გარანტიას, რომ მეზობელ ქვეყნებში დატრიალებული ვერანაირი ფინანსური ქარიშხალი ლარს ვერაფერს დააკლებს.**

მეორე აუცილებელი და კარდინალური ღონისძიებაა ლარის ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გამოცხადების შესახებ კანონის უთუო შესრულება“.

აქ ჩამოთვლილი ღონისძიებები ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებებია, მაგრამ არა დაცვისა. დაცვის საშუალებებს — მაგალითად, იმას, რომ საქართველოში რუსული რუბლით ხელფასების მიმღები რუსული ჯარები არ იდგეს და რუსეთთან საერთო არავითარი „სივრცეები“ არ გვქონდეს — პრეზიდენტი, გასაგები მიზეზის გამო, არ ახსენებს.

დღეს რუსეთი, ასე თუ ისე, „ფინანსურ ქარიშხალს“ გადაურჩა და სულს ითქვამს, მაგრამ რა იქნება ხვალ, როცა ის ქარიშხალი კვლავ ამოვარდება (რაც გარდაუვალია) და რუსეთი თავის აგენტურას მეზობელი ქვეყნის სათავეში კატეგორიულად მოსთხოვს: „მე უფსკრულისკენ მივექანები, თქვენი ქვეყნებიც თან ჩამაყოლეთო?“

პრეზიდენტი კატასტროფას გვპირდება

ცნობილია, რომ პრეზიდენტის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) უდიდესი ნაკლი არის იმის ვერგაზომვა და არგაზომვა, რა შედეგები აქვს ამა თუ იმ კლასიკურად ცნობილსა და აპრობირებულ ეკონომიკურ ღონისძიებას საქართველოს კონკრეტულ ვითარებაში. ამის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოს ძირითადი სიმდიდრის — მიწის გატანა ბაზარზე იმ დროს, როცა ამ ბაზარზე არც საქართველოს სახელმწიფო, არც საქართველოს საზოგადოებრიობა, არც რომელიმე, თუნდაც ერთი კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე არ ფიგურირებს.

დიახ, თუ შევარდნაძისა და მისი გუნდის მმართველობა გაგრძელდა, საქართველოს მიწა მთლიანად გაიყიდება სხვებზე, რომლებიც მას შემოღობავენ, მას საქართველოს მოქალაქეთა დაუხმარებლად (ყოველ შემთხვევაში — ქართველი ერის დაუხმარებლად) დაამუშავებენ და საქართველოს მოსახლეობას (ყოველ შემთხვევაში — ქართულ ერს) დატოვებენ ბოგანო გაუნათლებელ მასად (განათლება, მოგეხსენებათ, სულს ღაფავს), რომელიც მსოფლიოში ვერსად დასაქმდება სხვაგვარად, თუ არ დამამცირებელი მომსახურების სფეროში. არც პრეზიდენტს, არც მისი გუნდის რომელსამე წევრს არც ერთხელ არ უცდია ამგვარი პერსპექტივის უარყოფა ან მათი მიწის პოლიტიკის სხვა პერსპექტივის მოხაზვა. არც უცდიათ, რადგან ეს შეუძლებელია. სხვა პერსპექტივა მათს მიწის პოლიტიკას არა აქვს.

აი, პრეზიდენტის მსჯელობა ამ საკითხზე — მისი სტრიქონებიცაა და „სტრიქონებს შორის“ მოქცეული შინაარსიც: **„მთავრობის სხდომაზე განვიხილეთ მიწათსარგებლობაში საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის საკითხები. დამუშავების პროცესშია კანონ-პროექტები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის, განკარგვისა და განსახელმწიფოებრიობის შესახებ. მათი დროული მიღება მეტად საშური საქმეა სარგებლობასა და საკუთრებაში ამგვარი მიწების გამოყოფის მექანიზმების საბოლოოდ დასაკანონებლად, მიწის ბაზრის ჩამოსაყალიბებლად და ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოსაზიდად“.**

პრეზიდენტმა „საიდუმლო“ გასცა

პრეზიდენტი, ჩვეულებისამებრ, მადლიერებით ახსენებს საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობას იმ წყლულთა მკურნალობაში, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირს, პირველ ყოვლისა — ლტოლვილთა ხვედრის შემსუბუქებაში.

როცა საქმე ეხება ე. წ. ჰუმანიტარული ტვირთების განაწილებას, მაშინ, რა თქმა უნდა, მსმენელს შეუძლია იგულისხმოს ყველა ლტოლვილისადმი დახმარება. მაგრამ როცა საქმე ეხება მშენებლობას, ნათელი ხდება, რომ ლაპარაკია არა ქართველების დაბრუნებაზე საკუთარ სახლებში, არამედ მხოლოდ ოსების დაბრუნებაზე (და, მათთან ერთად, ახალი ოსების შემოსახლებაზე) ცხინვალის ზონაში, სადაც არც ლარი გადის და არც საქართველოს კანონი.

როცა ლაპარაკია აფხაზეთიდან ლტოლვილ ქართველობაზე, აქ გეგმაშია მხოლოდ მათი „გრძელვადიანი“ დასაქმება აფხაზეთის გარეთ (მაშასადამე, მათი არდაბრუნება აფხაზეთში). ხოლო ცხინვალის ზონიდან დევნილი ქართველი მოსახლეობა სულაც არ იხსენიება, თითქოს იგი არც არსებობს. აი, პრეზიდენტის სიტყვებიც: **„დევნილებს ამარაგებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, საშენი მასალებით, მიმდინარეობს მათთვის საცხოვრებელი სახლების გადაცემა, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა და სხვა მრავალი.**

უმაღლესი კომისარიატის პროექტების მოცულობის გაზრდას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სამხრეთ ოსეთში (ცხინვალის ზონაში) დევნილთა დაბრუნების პროცესის დასაჩქარებლად. მით უმეტეს, **რომ წელს გაჩნდა ამ პროცესის გაძლიერების რეალური საფუძველი, რასაც დამატებითი ფინანსური სახსრები სჭირდება.“**

ეს — ოსების შესახებ. ქართველების შესახებ კი ნათქვამია: **„განხორციელდება დევნილი მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის გრძელვადიანი პროექტები.“**

პრეზიდენტი უკან არ იხედება

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად მრავალწლიანი უგამონაკლისო გამოცდილებისა, პრეზიდენტს კიდევ იმედი აქვს (ან თავს გვაჩვენებს, თითქოს იმედი აქვს) ჩვენი ქვეყნის ძირითადი მოწინააღმდეგის — რუსეთის „დახმარებისა“ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში. აი მისი სიტყვები: **„იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „მეგობართა ჯგუფის“ თითოეული წევრი სახელმწიფო, განსაკუთრებით რუსეთი,** ძალღონეს **არ დაიშურებენ, ქართველთა და აფხაზთა შერიგების პროცესის დასაჩქარებლად.**

ძაღლის კუდი, როგორც ცნობილია, არ სწორდება. მაგრამ ადამიანს შეცდომებზე და „შეცდომებზე“ სწავლის უნარი კატეგორიულად მოეთხოვება.

ზემატკივარი

ვაცლავ ჰაველი: ხალხს ისეთი პოლიტიკოსები ჰყავს, როგორსაც იმსახურებს

მე-2 გვერდიდან

პოლიტიკურ სარბიელს, სადაც სუფევს უკულტურობა, ამ საერთო კრიზისს რომ ასახავს. უკვე არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ლამის მთელი პოლიტიკური საქმიანობა, კერძოდ, პარლამენტში უმნიშვნელოვანესი კანონების განხილვა მიმდინარეობს წინასაარჩევნო ბრძოლის ნიშნით, შეინიშნება ძალაუფლებისადმი თავშეუკავებელი ლტოლვა და ლაციცი დარეტიანებულ ამომრჩევლებთან, რომლებსაც აბრუებენ ყოველგვარი იაფფასიანი სიცრუეებით. პოლიტიკურ მეტოქეთა ცილისწამების, ჩირქის მოცხებისა და სახელის გატეხისადმი მისწრაფება ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. ერთი პოლიტიკოსი მეორის წარმატებულ ძალისხმევას მხოლოდ იმის გამო აკნინებს, რომ მისი პარტიის წევრი არ არის. პრაქტიკულად სასარგებლო და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებით მიუკერძოებელ დაინტერესებას სჯობნის პარტიული და სხვადასხვაგვარი ვარაუდები. ანალიტიკური მასალების ნაცვლად გაზეთები სავსეა სკანდალური სტატიებით (მთავრობის დახმარება, მისი მხარდაჭერა ჩვენში ლამის სირცხვილად ითვლება, ხოლო სარმის გამოდება — გმირობად). სხვა პოლიტიკური დაჯგუფებების მოღვაწეთათვის სახელის გატეხვა ჩვეულებრივ სამქედ იქცა: გამუდმებით ისმის ურთიერთბრალდებანი ინტრიგებსა და არაკომპეტენტურობაში, თითოეულ ჩცდილობს უსაყვედუროს მონინააღმდეგეს ბნელი წარსული ანდა რაღაც შავბნელი ზრახვების გამო. ყველგან დემაგოგია სუფევს, ხალხის ეროვნული თავისთავადობისადმი სრულიად ბუნებრივი მისწრაფებაც კი პოლიტიკური სპეკულაციებისა და საზოგადოებრიობის შეგნებული მოტყუების საგანი ხდება. ხოლო სოციალური სამართლიანობისა და მუშათა ინტერესების ამასწინანდელი ნომენკლატურული ქომაგებიდან მრავალმა ლამის ერთ ღამეში ჩამოიხსნა ნიღაბი და აშკარა თაღლითებისა და ქურდების რიგში დადგა. ასე რომ, არა ერთი ჯერ კიდევ გუშინდელი კომუნისტი დღეს იქცა უსირცხვილო კაპიტალისტად და თავხედურად დასცინის სწორედ იმ მუშას, რომლის ინტერესებსაც ადრე ვითომდა იცავდა.

ასეთი ვითარება იწვევს ადამიანთა სულ უფრო და უფრო დიდ უკმაყოფილებას, რაც ბუნებრივია, მათ მიერ არჩეული დემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ შემობრუნდება, რაზეც სპეკულაციას ეწევიან უამრავი ბნელი პიროვნებანი - პოპულარობას გამოდევნებულნი რომ აქეზებენ ხალხს ისეთი მოწოდებებით, როგორიცაა გადააგდონ მთავრობა ელტავაში.

ამბობენ, ხალხს ისეთი პოლიტიკოსები ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო. მართლაც, პოლიტიკოსები საზოგადოების სარკეს წარმოადგენენ, ეს არის მათი შესაძლებლობის თავისებური მატერიალიზაცია. მაგრამ, რაგინდ საოცარიც უნდა იყოს, სამართლიანია სხვა რამეც: საზოგადოება სარკესავით არეკლავს თავის პოლიტიკოსებს, რამეთუ მნიშვნელოვანწილად მათზეა დამოკიდებული, თუ რომელი საზოგადოებრივი ძალების გამოთავისუფლება და რომელი ძალების ჩახშობა ხდება, — ის, რაც საუკეთესოა, თუ რაც უარესია ადამიანში. წინა სისტემა აქტიურად აღვივებდა ადამიანის ცუდ თვისებებს — ეგოიზმს, შურს, სიძულვილს. ე. ი. მხოლოდ ის კი არ ყოფილა ისეთი, როგორიც დავიმახურეთ, არამედ პასუხისმგებელიც იყო იმის გამო, როგორებიც გავხდით. ჩემი აზრით, პოლიტიკოსთა საქმიანობა გულისხმობს გაზრდილ პასუხისმგებლობას საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობისათვის და პოლიტიკოსების ვალია გამონახონ, განავითარონ და გააძლიერონ ყოველივე საუკეთესო, რაც საზოგადოებაშია.

ჰოდა, მიუხედავად უკიდურესი პოლიტიკური დაკნინებისა, რომელსაც ყოველდღიურად ვაწყდებით, კვლავინდებურად მწამს: პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე! ბინძური მხოლოდ ის ადამიანები შეიძლება იყვნენ, რომლებიც პოლიტიკას მისდევენ. იმასაც ვიტყვი, რომ პოლიტიკურ საქმიანობას შეუძლია ბინძური საქმიანობისაკენ გვიბიძგოს უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენს. მაშასადამე, ის ადამიანისაგან მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს. მართალი არ არის, თითქოს პოლიტიკოსები აუცილებლად უნდა ცრუობდნენ ან ინტრიგებს აბამდნენ.

ვისაც გული და გემოვნების გრძნობა აქვს, შეუძლია არა მარტო წარმატებას მიაღწიოს პოლიტიკაში, არამედ, საერთოდ, თითქმის პოლიტიკისათვის არის გაჩენილი. ვინც თავმდაბალია, ვინც არ ელტვის ძალაუფლებას, ასეთ კაცს გზა ხსნილი აქვს პოლიტიკაში. პოლიტიკას საფუძვლად უდევს არა სიცრუეს ოსტატობა, არამედ ალღო, რომელიც ადამიანს კარნახობს, ვისთან როგორ მოიქცეს. მართალი არ არის, თითქოს მყარი პრინციპები უვარგისი იყოს პოლიტიკაში. ოღონდ, პრინციპებს უნდა დავუმატოთ მოთმინება, საღი აზროვნება, ზომიერების გრძნობა და სხვისი გაგების სურვილი. მაგრამ საბოლოო ანგარიშით, პოლიტიკაში ყველაზე მეტად პატიოსნება და კარგი ალღრდა ფასობს.

ჩემი გამოცდილება ნებას მაძლევს დავასკვნა, რომ პოლიტიკა და ზნეობრიობა პრაქტიკულად შეთავსებადია. თუცა, არ უარვყოფ, ეს გზა ძალზე ძნელი გზაა, მაგრამ არც არასოდეს მითქვამს, იოლია-მეთქი.

თარგმნა
ძეთი ჩადუნელმა

ჯავახეთში სომხებმა წითელი ბარათი გვიჩვენეს, ჩვენ კი ისევ სირაქლემობანას ვთამაშობთ

მე-2 გვერდიდან

გაწევრიანებას (?!!) და სულაც არაა გამორიცხული პარადოქსის მოწმენი გაგვხადონ.

უფრო მეტიც, როგორც ჩანს, დაინტერესებულმა ძალებმა ციხიდან გამოუშვეს „ადამონ ნიხასის“ ცნობილი ხელმძღვანელი ალან ჩოჩიევი — ქართულ-ოსური კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი გამჩაღებელი, რომელმაც ლამის ციხის ზღურბლზევე, არც მეტი-არც ნაკლები, ასე განაცხადა — უნდა ვიბრძოლოთ სამხრეთ ოსეთთან ყაზბეგის რაიონის შესაერთებლადო.

ჩვენ კი ძველებურად აინუნშიაც არად ვაგდებთ ხიზნების ასეთ წამოწყებებს.

რუსეთის იმპერიულმა ძალებმა უკვე ირწმუნეს, რომ ჩვენთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო საბოლოოდ დაკარგულია და „უქართველო საქართველოს“ სპექტაკლში უკვე ახალი კარტების გათამაშება დაიწყეს.

ბოლო ორი წლის მანძილზე რუსეთის იმპერიული ძალები ღიად ეწეოდნენ საქართველოს დაშლისა და „უქართველო საქართველოს“ პროპაგანდას, რომლის გამოხატულებაც იყო „ზატულინ-მიგრანიანის“ საჯარო დოქტრინები და „ნეზავისიმაია გაზეტას“ „ღირსახსოვარი“ პუბლიკაციები, რომელნიც ჩვენში, რატომღაც, არც ისე ფხიზლად იქნა აღქმული.

და, აი, რუსეთმა ველარ მოითმინა და დიდხანს შემონახული ერთ-ერთი ბოლო კოზირი, „ჯავახეთი“ შემოაგდო ღიად.

აქ მიმდინარე პროცესების არსი, რის შესახებაც ჩვენში, ჩვეულებისამებრ, სდუმდნენ ან აჩუმათებდნენ, ამჯერად ღიად გამოხატა საჯაროდ ერთ-ერთმა ლიდერმა. თუმცა, ეს ყველაფერი ჩვენთვის ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ სირაქლემობანას ვთამაშობდით.

სამწუხარო ისაა, რომ არც ადრე და არც დღეს არ გაგვაჩნდა და არც გაგვაჩნია ასეთ სიტუაციებში მოქმედების გეგმა და მიზანდასახულება.

თავის დროზე ასპარეზზე გამოსული ანტიქართული ორგანიზაციები „აიდგილარა“, „კრუნკი“, „ადამონ ნიხასი“ და მათი თავკაცები იმსახურებდნენ და დღესაც იმსახურებენ სასჯელს ხალხთა შორის შუღლის გაღვივებისა და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის, მაგრამ ჩვენ მაშინაც და დღესაც სირაქლემობანას ვთამაშობდით და ვთამაშობთ, რის გამოც შესაფერისი შედეგი მივიღეთ.

უკვე მრავალი წელია საქართველოს წინააღმდეგ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევა ორგანიზაცია „ჯავახკი“, რომელსაც ზურგს უმაგრებენ გარკვეული დაინტერესებული წრეები შინ თუ გარეთ, მაგრამ თითქოს ყველასათვის შეუმჩნეველი იყო, სანამ სხვების მიერ წაქეზებულმა აშკარად არ გამოყო კლანჭები.

მარტო ის რად ღირს, რომ ამ ორგანიზაციას მითვისებული აქვს ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომისა და კუთხის სახელი. სახელი, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8 საუკუნეში ფიგურირებს ურარტულ წარწერებში,

გაგრძელება მე-7 გვ.

ხმა ხალხიდან

მრუდე სარკეების ქვეყანა, ანუ ნუთუ ამას სახელმწიფოს მართვა ჰქვია?

მე-2 გვერდიდან

და არ სჯის, მაშინ ვინ არიან მისთვის ისინი? ყველაფერ ამას კარგად გრძნობენ ამომრჩევლები და ელიან არჩევნებს — შეცდომას აღარ დაუშვებენ. თუ დღევანდელმა ხელისუფლებამ დროზე არ შეწყვიტა ხალხის მოთმინების გამოცდა ანტიხალხური პოლიტიკით, მათ მომავალ არჩევნებში ოლიმპის დატოვება მოუწევთ და ეს ბუნებრივი და სამართლიანი იქნება.

გალის მოვლენებმა ხომ ლაკმუსივით გაამჟღავნა დღევანდელ ხელისუფალთა უუნარობა და უმწეობა მტრების წინაშე. მთი მხრიდან ასეთ უხეშ და გაუთვლელ შეცდომას, ჩვეულებრივ, ხელისუფლება შეეწირებოდა ნებისმიერ ქვეყანაში, ოღონდ არა ჩვენთან — მრუდე სარკეების ქვეყანა — საქართველოში. გამაოგნებელი იყო ხელისუფალთა ომახიანი განცხადებების შემდეგ, „პარტიზანებს არ მივატოვებთ, დავეხმარებითო“, (რომელმაც ამ ტრაგედიაში კატალიზატორის როლი შეასრულა), პარტიზანების მიტოვება; უფრო მეტიც — გაგრაში ხელმოწერილ „შეთანხმებაში“ მათ — ქართველ პარტიზანებს... ბანდიტებიც კი უწოდეს(?!). ესაა „დიდი პოლიტიკა“? მე თუ მკითხავთ, „დიდი“ კი არა, ეს არანაირი პოლიტიკა არ არის. ასეთ რამეს საღად მოაზროვნე გლეხიც კი არ დაუშვებდა. ამიტომ, ის, რაც გალში მოხდა, იყო მოულოდნელი და ყოველგვარ საზღვრებს სცილდებოდა — ეს იყო ერის უკიდურესი შეურაცხყოფა. მისთვის „ჭიტლაყის“ ამოკვრა. ერთ დროს ქართველ მეომართა სიჩაუქეზე იტალიელი, ფრანგი, ირანელი თუ არაბი მეისტორიენი აღფრთოვანებით რომ წერდნენ, დღეს, ჩვენს ხელისუფალთა „დიდი პოლიტიკის“ წყალობით გადამთიელ და ჩვენთან შემოკედლებულ ეთნიკურ უმცირესობათა საჯიჯგნი გამხდარა. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ვის სჭირდება ასეთი „დიდი პოლიტიკა“? იქნებ სჯობდა მსოფლიოსთვის სრულიად უცნობი პიროვნება გვყოლოდა პრეზიდენტად (როგორც ჩეჩნებს), ოღონდ თავისი ერისათვის მიეხედა! უბედურებაა, რომ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება დღეს საკამათო გამხდარა!

გალის მოვლენებმა ნათლად გამოაჩინა, როგორი ხელისუფლება გვყავს და როგორ მართავენ ისინი ქვეყანას (თუ ამას მართვა ჰქვია): ისინი აბსოლუტურად დაცლილი არიან ეროვნული გრძნობისა და ეროვნული თავმოყვარეობისაგან. მაშინ, როცა მეზობელი სახელმწიფოები ვითარდებიან ნაშნით — „ერი-სახელმწიფო“, ჩვენი ხელისუფლება „ჰუმანისტის“ ნიღაბმორგებულ (სინამდვილეში — პირადული ინტერესებიდან გამომდინარე) ისევ გაკოტრებულ „ინტერნაციონალიზმს“ ებღაუჭება, როგორც 60-80-იან წლებში და თავს იწონებს სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობებზე „ზრუნვით“. ამ თვალსაზრისით რად ღირს თუნდაც 1998 წლის 6 აგვისტოს პრეზიდენტის განკარგულება №458, რომელიც აშკარაა, „ახალქალაქის მოვლენების“ შემდეგ მომზადდა. იგი საბჭოური აზროვნების ტიპური ნიმუშია: დაქცეული ქართული სახელმწიფოს პრეზიდენტი (დაქცევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი მისგან და მის წინამორბედ მმართველთაგან ერთ დროს სწორედ ამ სახელმწიფოს უზომო ინტერნაციონალიზმი იყო) სპეცგანკარგულებას წერს... „აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების მოქალაქეების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აღადგინონ გზები, ფაბრიკა-ქარხნები ამ ეროვნებათა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; დაურიგონ მათ პენსიები, ხელფასები... დადგენილ ვადებში“ და ა. შ. პარადოქსია პირდაპირ! ნუთუ ვერავინ ხვდება, რომ ასეთმა „განკარგულებებმა“ და „ბრძანებებმა“, თავზე ხელისსმამ მიგვიყვანა აფხაზეთის, სამაჩაბლოს, გალის და ბოლოს — ახალქალაქის მოვლენებამდე? ჩვენ კი სირაქლემას პოზაში დავმდგარვართ და ბარამიძის „საამო“ ტყუილებს ვისმენთ ჯავახეთის რეგიონში სტაბილურობის შესახებ. როგორც ყოველთვის, ამჟამადაც მოვერიდეთ „სიტუაციის გამწვავებას“ (ისევ ჩვენ!) და... სამხედრო სწავლებები ახალციხეში გადავიტანეთ. ბოლო არ უჩანს ქართველების დამცირებებსა და ჩაწიხვლას „უფროსი ძმების“ წაქეზებით. ხოლო სიმართლის თქმას ვიღაცის განაწყენების შიშით ვერც ამჯერად ვბედავთ, როგორც ეს იყო აფხაზეთში, ხოლო რაც მოგვიტოკს უჭერთ მეწარმეებს. აფერუმ! თურმე რა დიდი ხელფასები და პენსიები გვაქვს, რომ ბიუჯეტიც კი აღარ გვყოფნის. იქნებ თქვენსავე ხელფასებს გულისხმობთ?! ეს ხომ მართლაც ასეა!

გაგრძელება მე-8 გვ.

მეხანძრეები შეიძლება გაიფიცონ!

ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ზ. ჟვანიას, ფინანსთა მინისტრს, მ. ჭკუასელს და შინაგან საქმეთა მინისტრს, კ. თარგამაძეს

მე-3 გვერდიდან

ნუ ელოდებით ნოემბრის არჩევნებს. მანამდე ნუ გაგვიწყვიტავთ ცოლ-შვილს შიმშილით. ჯერ რა ხელფასები გვაქვს მეხანძრეებს და ისიც აგერ უკვე მეოთხე თვე დაიწყო და თვალით კაპიკის დანახვაც კი არ გვაღირსეთ. დაიმახსოვრეთ, რომ მეხანძრეებს რესპუბლიკაში არ აკმაყოფილებს არსებული გაუსაძლისი ხელფასები, შრომის პირობები და ხელფასების მოლოდინი იმედის გადაწურვამდე. გაითვალისწინეთ, რომ შემდეგ კიდევ მოგელით პარლამენტის არჩევნები, პრეზიდენტის არჩევნებიც! ნუ გვაშიმშილებთ, თორემ ჩვენცა გვაქვს უნარი სხვა გზის გამონახვისა. ისეთ გზას გამოვნახავთ, რომ ამ გზიდან მთელ საქართველოს კიდევ ერთხელ ახლა ჩვენ დავანახებთ თქვენს სახეებს და თქვენს სულისკვეთებას. ისეთ გზას გამოვნახავთ, რომ კიდევ და კიდევ დაინახოს ქართველობამ საკუთარი ბედით კმაყოფილი და გაპარპაშებული თქვენი სახეები, სხვისი ჭირი რომ ღობის ჩხირად მიგაჩნიათ. ჩვენ უკვე საკმაოდ აგვევსო მოთმინების ფიალაც და მშიერი ადამიანის ინსტიქტიც საკმაოდ ამოქმედდა, რომ გაფიცვამდე მივიდეთ. ეს არ გეგონოთ ქუჩების გადაკეტვა ან მიკროფონმომარჯვებული მანანა არჩვაძის უკან დევნა ხელკეტებით. ჩვენთან არ დაგჭირდებათ არც ლაყე კვერცხების და მაწვნის ქილების სროლა, არც ხალხის დაფანტვა ხელკეტებით. ხანძარი მხოლოდ მეხანძრეს შეუძლია ჩააქროს და არა გაქსუებულმა სახელმწიფო მოხელემ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ გაფიცვის შედეგებზე თქვენ აგებთ პასუხს, იგი თქვენს ნამუსზე და თქვენს კისერზე იქნება.

დამშეული და ღირსებააყრილ ადამიანს თქვენზე მეტი სიმკაცრის გამოჩენა შეუძლია, როცა თვალწინ უდგება მისი პატარა შვილი და ეკითხება: „მამიკო, პური კიდევ ვერ იყიდე“? ჯიბეცარიელ მამას პატარა და დამშეული თავისი შვილი ურჩევნია გაქსუებულ, გალალებულ, მოახლეების ხელში გაზრდილი უნამუსო და უპასუხისმგებლო სახელმწიფო მოხელის შვილს. იმ მოხელისა, რომელსაც ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია და დღედაღამ საკუთარი შემოსავლის დათვლით და დაცვით არის დაკავებული საკუთარ სკამზე ჩაბღაუჭებული, რომელიც არ ეკუთვნის.

ხელფასებს რომ აწესებთ, მარტო საკუთარ თავზე რატომ ზრუნავთ? ერთხელ მაინც შეადარეთ თქვენი მხოლოდ ხელფასი („ლევზე“ არ გეუბნებით) მეხანძრეების ხელფასს, თქვენი პასუხისმგებლობის დონე ადამიანთა წინაშე მეხანძრის პასუხისმგებლობის დონეს, თქვენი რბილი საპარპაშო და ძილისმომგვრელი სავარძელი მეხანძრის ცეცხლში გახვეულ სამუშაო პროცესს და კარგად დაიმახსოვრეთ შემდეგისათვის (თუკი შეგრჩათ ეგ ცოდვილიანი სავარძლები!) კიდევ ერთხელ მაინც უნდა გადახედოთ მეხანძრეთა თავდადებულ უანგარო შრომას, უძილო, მშიერი ღამისთევას და მისი შრომის საზღაურს. ერთხელ მაინც იყავით მართალნი ხალხის წინაშე.

თბილისელი გადაშიმშილებული და ღირსებააყრილი მეხანძრეები და მათი დამშეული ცოლ-შვილები.

პონორარი ამ წერილისა ჩაირიცხოს ამავე გაზეთის ანგარიშზე.

ინგერნეტი და საქართველოს საკითხები

აბხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, ს. ბაღაფშის შეხვედრა საქართველოში ბრიტანეთის ელჩთან, ს. ნეშუთან (1997 წლის 24 ოქტომბერი).

ნეში: ჩემი ვიზიტის მიზანია ინფორმაციის მოპოვება იმ პროექტებზე, რომლებშიც დიდი ბრიტანეთი მიიღებდა მონაწილეობას.

მსურს გავარკვიო, როგორ უყურებთ აბხაზეთის ეკონომიურ მდგომარეობას რამდენიმე წლის შემდეგ და რა ვითარებაა დღეს ეკონომიური სიძნელეების დაძლევის გზაზე. რას იტყვით ნავთობსადენის გაყვანის თაობაზე? საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბრიტანეთი მასში მონაწილეობს. ბრიტანეთის მილსადენის კომპანიის ხელშია კასპის პროექტის აქციების უდიდესი პაკეტი. საქართველოს ამ მხრივ დიდი მომავალი აქვს. მითხრეს, რომ ამერიკა აპირებს აბხაზეთში ნავთობსადენის გაყვანას. შეგიძლიათ გვითხრათ, თუ რომელ პუნქტებში გაიყვანენ აბხაზეთში ნავთობსადენს? საქართველოში ნავთობის საქმე უკვე დაიწყო. აბხაზეთის შელფის კვლევის პერსპექტიულობაზე მსმენია, თუ აპირებთ აბხაზეთში ამ გეგმების განსახორციელებლად რომელიმე კომპანიის მოწვევას?

ბაღაფში: ბოლო ხანს ჩატარებულ მოლაპარაკებებზე აბხაზიამ და საქართველომ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველი მოამზადეს. საქართველოს და რუსეთის ნავთობის პროექტების განხორციელება აინტერესებთ. ბრიტანეთის წარმომადგენლებს შეუძლიათ სატრანსპორტო, ეკოლოგიის, მედიცინის სისტემის აღორძინებაში მიიღონ მონაწილეობა. რაც შეეხება ნავთობს, აფხაზეთის ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ დამოუკიდებლად ვერ შევძლებთ გეგმების განხორციელებას.

ნეში: ამჟამად არ ვაპირებთ აბხაზიის ტერიტორიაზე ნავთობის გადატუმბვას.

ბაღაფში: საქართველოს რომ თავისი ხელმოწერილი ხელშეკრულებები დაეცვა, ვითარება ჩიხიდან კარგა ხნის წინ გამოვიდოდა. ყველა გეგმის განხორციელება შეიძლება, თუ პიროვნებები სერიოზულად მიუდგებიან საქმეს.

ნეში: რომელს გულისხმობთ პროექტებში — ნავთობს თუ აირს?

ბაღაფში: ნავთობზე მოგახსენებთ, თუმცა მას აირიც ახლავს. ეს საკითხები საქართველოს და აფხაზეთის პრეზიდენტებმა უნდა გადაწყვიტონ.

ნეში: ევროკავშირი მალე აპირებს ვითარების შეფასებას იმის გადასაწყვეტად, თუ რა სჭირდება აფხაზეთის ეკონომიკის აღორძინებას. მეორედ ევროკავშირის ხელმძღვანელთან ერთად გკსტუმრებთ. ვიმედოვნებ, რომ პოლიტიკური საკითხები მალე მოგვარდება და ეკონომიკის დარგში დასახული გეგმებიც განხორციელდება.

ბაღაფში: ეკონომიური საკითხები პოლიტიკურ საკითხებთან ერთდროულად უნდა გადაწყდეს.

ნეში: რას იტყვით ავიაციის აღორძინებაზე?

ბაღაფში: ჩვენი აეროპორტი საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს, მაგრამ საქართველოს არ სურს მისი ამოქმედება. გზებზეც (კომუნიკაციებზე) იგივე ითქმის. შეუძლებელია ხალხი სულ დაძაბული გყავდეს და ეკონომიური საკითხები მუდამ პოლიტიკურს მიაჯაჭვო.

ნეში: თქვენ ახსენეთ, რომ ბრიტანეთის მონაწილეობა სასურველია ეკოლოგიაში. ამასთან დაკავშირებით მსურს ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ბრიტანეთს და ევროკავშირს უმთავრესად შავი ზღვის გადარჩენა აინტერესებთ. ამას გარდა, ხომ ვერ გვეტყვით, სად მოიპოვებენ დღეს ხე-ტყეს აბხაზიაში?

ბაღაფში: რამდენიმე პუნქტში. მისი ექსპორტი აბხაზიის რესპუბლიკის ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროა.

ნეში: რამდენადაც ვიცი, თქვენ და საქართველომ ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის დაწყება მოახერხეთ. ამ მხრივ ჩვენც ხელს შეგიწყობთ.

აბხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი შამბას ინტერვიუ გერმანული გაზეთების კორესპონდენტთან, ნიკოლაუს ფონ თუიძელთან 1997 წლის 26 სექტემბერს

კითხვა: რა ურთიერთობა ყალიბდება რუსეთის ფედერაციასთან? ცნობილია, რომ მრავალი აბხაზი რუსეთს აბხაზეთის მიმართ მოლალატედ მიიჩნევს.

პასუხი: რუსეთი არაფერს შეპირებია აბხაზიას, ამდენად ვერ ვიტყვით, რომ გვიღალატა.

კ: როგორ შეიძლება მოსკოვმა ბლოკადა მოგიხსნათ?

პ: ბლოკადა ადამიანის უფლებების დარღვევაა და უპირობოდ უნდა მოიხსნას.

კ: ამბობენ, რომ აბხაზიას საიდუმლო კავშირები აქვს მოსკოვთან. ეს განსაკუთრებით გაცხადდა საქართველოსთან ომის დროს.

პ: რუსეთმა საქართველოს იარაღიც მისცა და მოუწონა კიდეც აბხაზეთში შეჭრა. ჩვენ ყოველთვის ვამყარებდით კავშირს და მოლაპარაკებებს მათთან, ვინც რეალურად ცდილობდა დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას.

კ: რა როლს ასრულებს რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებებში?

პ: რუსეთი მომრიგებელია ჩვენს შორის.

კ: მოლაპარაკებების მიზანია საქართველოსთან ურთიერთობის შეცვლა, ხოლო საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დგას საქართველოს და აბხაზეთის შეერთების ამოცანა. თქვენ რას გვეტყვით?

პ: აბხაზია უძველესი დროიდან დამოუკიდებელი ქვეყანა არის. ამიტომ აბხაზეთის სუვერენობის მოთხოვნა ყოველთვის იქნება უცხოეთის ძალდატანების მიუხედავად.

კ: ვფიქრობ, რომ აბხაზი ხალხი არ არის მზად საქართველოსთან კონფედერაციის შესაქმნელად. როგორ გადაჭრით ამ საკითხს?

პ: ჩვენ გვსურს დათმობების გზით გადავჭრათ ეს საკითხი. თუმცა ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აბხაზეთის კონსტიტუციას.

კ: კონფედერაციის ალტერნატივა სრული დამოუკიდებლობაა. თუ ჩეჩნეთი დამოუკიდებელი გახდება, ეს ხელს შეუწყობს აბხაზეთის დამოუკიდებლობას?

პ: ლოგიკის მიხედვით, უნდა შეუწყოს ხელი.

კ: ქურთების და ბასკების ომი სამართლიანად მიგაჩნიათ?

პ: ყოველ პრობლემას თავისი მიზეზი აქვს, ასეთ შორეულ პრობლემას არ მსურს შევეხო;

კ: როგორც ვიცი, სსრკ-ს საზღვრები ქართველმა ორჯონიკიძემ დაადგინა. ამან იქონია გავლენა საზღვრებზე?

პ: საზღვრები მოხაზა არა მარტო მან, არამედ მეორე ქართველმაც — სტალინმა. მათმა ქცევამ შეყოვნებული ქმედების ყუმბარასავით იმოქმედა.

კ: დღეს საშინელებაა საზღვარგარეთელი აბხაზების დაბრუნებაზე საუბარი. თქვენი აზრით, შეიძლება მათთვის ქართველების კუთვნილი ქონების დარჩენილი ნაწილის გადაცემა?

პ: მე ამ საკითხს სხვაგვარად დავსვამ: საფუძვლიანი მიზეზი არსებობს იმის დასაშვებად, რომ აფხაზეთში დაბრუნების მსურველი ბევრი ქართველი ვერ იქნება.

კ: მოსკოვში შიშობენ, რომ ქართველთა და აბხაზთა კონფლიქტის მაგვარი კონფლიქტები რუსეთის ტერიტორიაზეც მოხდება. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება რუსეთის მცხოვრებლებს გააგებინონ, რომ მათთვის უმჯობესია ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრება?

პ: ვფიქრობ, რომ რუსეთში სერიოზულად არავის სურს ურთიერთობის დაძაბვა.

კ: ჯერ-ჯერობით აბხაზია არავინ სცნო. რა ბედი ელის აბხაზ ხალხს?

პ: დამოუკიდებელი აბხაზია ფაქტურად უკვე არსებობს. ამ მიზეზით ჩვენ არ ვაპირებთ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა. სხვა შემთხვევაში აბხაზი ეროვნების გადაშენების რეალური საფრთხე არსებობს.

ამიერკავკასიის პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ძვ. წ. ა. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში
(მ ა კ ი) ზ ღ ვ ა
ფასისი
ამისი
ბ ა ბ ა ლ ე ბ ი (ხალიტჯ)
ბ ა ბ ა ლ ე ბ ი
ბ ა ბ ა ლ ე ბ ი
ბ ა ბ ა ლ ე ბ ი

ჯავახეთში სომხებმა ნითელი ბარათი გვიჩვენეს, ჩვენ კი ისევ სირაქლემობანას ვთამაშობთ

მე-5 გვერდიდან

ამიერკავკასიაში სომხების გამოჩენამდე 200-300 წლით ადრე.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ჯავახკის“ ლიდერის ინტერვიუში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი ფრაზა — „ახალქალაქში სომხები უძველესი დროიდან ცხოვრობენო.“ (!!!).

აი, სად მარხია ძაღლის თავი. განა ერთი შეხედვით ასეთი უწყინარი ფრაზით არ დაიწყეს აფსუებმა (ფსევდო აფხაზებმა) და ოსებმა და მსოფლიოს არ ეფიცებიან, რომ თურმე აფსუები და ოსები უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ საქართველოში და ავტონომიების ღირსნი არიან.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა გზაკვალდაბნეულს საქართველოში მოუნდა თვითგამორკვევა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, ჩვენ კი სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ გამოვფხიზლებულვართ.

„ჯავახკის“ ლიდერებსაც არავინ ეუბნება, რომ სომხები უხსოვარი დროიდან ერევანშიც კი არ ცხოვრობდნენ, არათუ ახალქალაქსა და ჯავახეთში; არავინ ახსენებთ მათ, რომ ისინი აგერ მე-19 საუკუნეში, 1829-1830 წლებში თურქეთიდან რუსი გენერლის პასკევიჩის მიერ შემოყვანილი ლტოლვილების შთამომავლები არიან და ქართველთა მიმართ მადლობის მეტი არაფერი ეთქმით.

ხოლო რაც შეეხება ავტონომიის მოთხოვნას, საქართველოში თუ ვინმეს ეკუთვნის იგი, პირველ რიგში ღვთითკურთხეულ ებრაელობას, რომელნიც ქართული ეთნოსის თავისებური უნიკალური კუთვნილებაც გახდნენ და საკუთარი ეროვნულობაც არ დაკარგეს, სომხებს კი შეუძლიათ რამდენიმე ათეული კილომეტრით ახალქალაქიდან სამხრეთით გადაიადგილონ და შმობლიურ სომხეთში რაც უნდათ, ის შექმნან.

ჩვენი წერილის ერთადერთი მიზანი ისაა, რომ კიდევ ერთხელ გამოვთქვათ გულისტკივილი ერთიანი სახელმწიფოებრივ-ეროვნული პოლიტიკა-პროგრამის არარსებობის გამო, რის შედეგადაც დღევანდელ საქართველოში ავისმომასწავებელი, მე-15 საუკუნისნაირი სუნი ტრიალებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ საქართველო დაიშალა ქართველებიან პატარა „საქართველოებად“, დღეს კი იშლება უქართველო „საქართველოებად“, რაც ერისა და სახელმწიფოებრიობის პირისაგან მიწისა აღგვის დასაწყისის მომასწავებელია.

თორემ ისე, სხვა ერებისა და ხალხების პატივისცემას, სიყვარულსა და თანაცხოვრებას რომ მსოფლიოში ქართველებს ვერავინ გვასწავლის, ამას ქართველთა და ებრაელთა ძმობის 2600 წლიანი დღევანდელი იუბილეც ადასტურებს, რაც ქართული მიწის ნამდვილი ზეიმია და რომელსაც ამ ცოდვილ დედამიწაზე მაგალითი არ მოეპოვება.

ბიძინა თავაძე

პრობლემა არ გამქრალა, იგი მხოლოდ მივიწყებულია

მომთაბარე სელჩუკ-ოლუზ-თურქმენები და საქართველო

(ისტორია და შედეგები)

მე-3 გვერდიდან

ლი, რომელიც უხსოვარ დროიდან ღვთის განგებამ ქართველ ხალხს არგუნა, ქართველობამ შეიყვარა, შეისისხლხორცა და სამუდამოდ სალოცავად გაიხადა. ამ მიწა-წყლის მიტოვება და სხვაგან გადასვლა ქართველობას არასოდეს უფიქრია. ამასთან, მიუხედავად მრავალი შესაძლებლობისა, ქართველებს სხვისი მიწა-წყალი არასოდეს მიუთვისებიათ, უცხოთა მიწა-წყალზე არ დამკვიდრებულან. ესაა ის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც ჩვენს ხალხს განასხვავებს სხვა ხალხებისაგან, პირველ რიგში კი თურქული მოდგმისაგან, რომელთანაც ქართველობამ ხანგრძლივ (XI ს.-ის შუა ხანებიდან XVIII ს.-ის ბოლომდე) აწარმოა თავდაცვითი ომი. ეს იმიტომ, რომ თურქული მოდგმა, სპარსელებისაგან, რომაელებისაგან, არაბებისაგან, ბიზანტიელებისაგან და მონღოლებისაგან განსხვავებით, საქართველოს დაპყრობა-დაბეგვრისათვის კი არ მოდიოდა საქართველოში, არამედ ქართველთა მოსპობისთვის და მათ მიწაზე დამკვიდრებისათვის.

ვინ იყვნენ თურქ-სელჩუკ-ოლუზ-თურქმანები? თანამედროვე თურქი ავტორის მიხედვით ოლუზები 24 ტომისაგან შედგებოდნენ. (დოღან ავჯიოღლუს „თურქთა ისტორია“ — თურქლერინ თარიხი, მესამე წიგნი, სტამბოლი, 1979, გვ. 1111-1112 თურქულ ენაზე). ისინი ცხოვრობდნენ და მომთაბარეობდნენ ცენტრალური აზიის თვალუწვდენელ ტრამალებზე. ამათ X-XI ს.-ებში გვაროვნული წყობილების რღვევისა და კლასობრივი ურთიერთობის გამარჯვების პროცესში დაიწყეს მოძრაობა ცენტრალური აზიიდან შუა აზიისაკენ და აქედან — კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოვლით — დასავლეთისაკენ. X-XI საუკუნეებში შუა აზიაში ჰეგემონია ოლუზთა ტომების ბელადთა ხელთ იყო (ვ. ბარტოლდი, თხზ. ტომი, ნ, მოსკოვი-1969, გვ. 525). ამ ეპოქაში ოლუზთა ტომების კონფედერაციაში პირველი ბზარი შეიტანა სელჩუკთა დინასტიამ, რომელთა მეთაური — სელჩუკი — გამოეთიშა დანარჩენ ოლუზებს (X ს. II ნახევარში), გაწყვიტა კავშირი ოლუზთა წინამძღოლთან იაბღუსთან, საძოვრების კრიზისის გამო გადავიდა მავერანნა?რში, თავის ხალხთან ერთად მიიღო ისლამი და საფუძველი ჩაუყარა სელჩუკთა სახელმწიფოს. მისი სახელიდანვე წარმოსდგა თვით ამ ტომის სახელიც — სელჩუკები ანუ სელჩუკიანი თურქები. (ნოდარ შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში). ამიერიდან სელჩუკები მეტად მოუსვენარი მეზობლები გახდნენ ხორასანელებისათვის. და სხვა მეზობლებისათვის, დოვლიან ავჯიოღლუ, რომელიც ეყრდნობა აღმოსავლურ წყაროებსა და ავტორებს, (გერდიზის, ბირუნის, მერვიზის, უთბის, რაშიდედინს, ყაშგარელ მაჰმუდს, და სხვებს) ამბობს, რომ ეს ავტორები ოლუზს უზოდებენ თურქმენს. (დ. ავჯიოღლუ, III წიგნი, გვ. 2224-2225). იგივე ავტორი თავის იგივე სახელწოდების პირველ წიგნში აღნიშნავს, რომ იმ მომთაბარე ოლუზებს, რომელთაც ისლამი მიიღეს, თურქმენი ეწოდათ. (გვ. 124). ამგვარად, ოლუზი იგივე სელჩუკია, რომელსაც ისლამის მიღების მერე მეზობელმა მუსლიმებმა თურქმენი უწოდეს. როგორც ვხედავთ, თუ ვიტყვით ოლუზებს, იგულისხმება სელჩუკიცა და თურქმენიც, ყველა ერთად კი თურქ მომთაბარეა. ამ მოდგმამ დასავლეთისაკენ გადმასოხლება რომ დაიწყო, საზოგადოებრივი განვითარების მეტად დაბალ დონეზე იმყოფებოდა. მაგრამ საძოვრებისათვის წარმოებულ საუკუნოვანი ბრძოლის პირობებში მოხდა მათთან კლასობრივ ურთიერთობაზე გადასვლა და თან მუსლიმობის გავრცელებაც, რაც სწორედ კლასობრივი საზოგადოებისთვის მისაღები ერთ-ერთი რელიგია იყო.

თუ ვინ იყვნენ მომთაბარე თურქ-სელჩუკები, საზოგადოებრივი განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფებოდნენ, რას წარმოადგენდნენ ჩვენს ქვეყანაში XI ს-ის 70-80 წლებში. ამის შესახებ მრავალი ისტორიკოსი, მათ შორის, დ. ავჯიოღლუც საყურადღებო ცნობებს იძლევა. იგი ოლუზებს ახასიათებს, როგორც გრიგალივით მოჯირითე ცხენებზე ამხედრებულებს, გრძელ თმიანებს, მშვილდ-ისრითა და მახვილით შეიარაღებულებს. (მისი III წიგნი, გვ. 2210).

X ს.-ის დამლევს ჰუდუდ-ულ-ალამის ნაწერებში აღნიშნულია: „ოლუზები ამაყი, მოჩხუბარი, ცუდი ზნეობისა და შურიანები არიან, ზამთარ-ზაფხულს საძოვრების ძებნაში ატარებენ. მათ სიმდიდრეს შეადგენს ცხენი, ძროხა, ცხვარი, იარაღი და ნაწილობრივ ირემი... დასახლებული დაბები არ გააჩნიათ, მაგრამ თხის ტყავებგადაფარებულ კარვებში მცხოვრენი საკმაოდ ბევრნი არიან. ომში გაბედულობასა და სიფიცხეს იჩენენ. ყველგან ისლამის სახელით განუწყვეტლივ არბევენ სხვა ხალხებს. ჯერ დარტყმებს მიაყენებენ, გაძარცვავენ და შემდეგ დაუყოვნებლივ უკან ბრუნდებიან!“ (იგივე ავტორის III წიგნი, გვ. 2170). მაგრამ თუ სელჩუკ-ოლუზები დაცემების შემდეგ დაუყოვნებლივ უკან ბრუნდებოდნენ ისლამის მიღებასა და თავისი სახელმწიფოს დაარსებამდე, XI ს.-ის - 40-იან წლებიდან ისინი გადადიან ქვეყნებისა და ხალხების, ისლამის დროშით დაპყრობა-დაბეგვრასთან ერთად. თურქ-მომთაბარე ურდოების დაპყრობილ პროვინციებში დედაბუდიანად შემოსახლებაზე.

თურქ-სელჩუკი მომთაბარეები დაქსაქსული იყვნენ XI საუკუნემდე, ისევე, როგორც არაბები VII ს-მდე. არაბების მსგავსად, მომთაბარე თურქ-სელჩუკებიც, XI ს-ში ისლამმა გააერთიანა.

არაბ და ევროპულ (ჯვაროსნულ) ისტორიკოსთა მონაცემებზე დაყრდნობით, დ. ავჯიოღლუ ანატოლიაში მოსული მომთაბარეების შესახებ წერს: „ეს თურქმენები ველური ადამიანები არიან. ქალაქები და დასახლებული დაბები არ გააჩნიათ... ძალიან ბევრი პირუტყვი ჰყავთ. როგორც თურქები, ასევე თურქმენები ერთი ძირიდან მოდიან... მთელი ავლა-დიდებიანად მომთაბარეობენ, მიწას არ ამუშავებენ, ფულით არ ვაჭრობენ, მოთხოვნილებას გაცვლის გზით იკმაყოფილებენ. (მისი I წიგნი, გვ. 140-141).

თვითმხილველი იბნ ფადლანი, რომელიც X ს-ის 20-იან წლებში ბაღდადიდან შუა აზიაზე გავლით ვოლგის ბულგარებთან მიმავალ სახალიფოს დელეგაციაში იყო, ოლუზთა შესახებ წერს: ესენი ტყავების გადახურულ კარვებში მცხოვრები ადამიანები არიან, მომთაბარეობას ეწევიან... გზადაგზა ბევრგან შევხვდით მათ კარვებს; ცხოვრების პირობები ცუდი აქვთ, თვითონაც თავგზააბნეული ვირეებივით დაეხეტებიან, მათ ღმერთისადმი რწმენა არა აქვთ. არაფერს პატივს არ სცემენ. უფროსებს „ბეის“ უწოდებენ... მათი ქალები არც თავიანთ და არც უცხო მამაკაცებთან სახეზე ჩადრს არ იფარებენ, თითქმის ტანსაცმელსაც არ იცვამენ. ერთ დღეს, როდესაც ოლუზთან ოჯახში-კარავში ვიმყოფებოდით, მისი ცოლიც ჩვენთან იყო. საუბრის დროს იმ ქალმა აიწია კალთა და გამოიფხანა. ამის დანახვაზე ჩვენ ხელები ავიფარეთ სახეზე და წარმოვთქვით: „... ო, ალაჰ, ნუ ჩაგვითვლი ჩვენ ცოდვად“. ამაზე მისმა ქმარმა გაიცინა“... სხვაგან იგი წერს: „როგორც ოლუზებს, ისე ბულგარელებსაც — ქალსა და კაცს, მდინარეში ტიტველთ ერთად ბანაობისა სრულიად არ ეუხერხულებათ... პირიქით, არაბებში გავრცელებული ჰომოსექსუალობა თურქებში დიდ ცოდვად ითვლებოდა;“ ავტორი იძლევა ერთ მაგალითსაც: ვიღაცამ უწვერულვაშო ყმაწვილი მოატყუარა და შეაცდინა. მან 400 ცხვარი ჯარიმა გადაიხადა და ამით გადაირჩინა თავი... ოლუზები, განსაკუთრებით ზამთარში, წყალს არ ივლებენ ტანზე. ოლუზთა ჯარის მეთაურს ჩვენმა ელჩობამ საჩუქრად ხალათი მიართვა, ძველი, გაცვეთილი ხალათი რომ გაიხადა, ვნახეთ მისი ქვედა ჩაცმულობა, ჭუჭყისაგან რომ დალაბობდა. როგორც დავასკვენით, ეს ადამიანები ტანსაცმელს მანამ არ იხდიან, ვიდრე იგი არ შემოალპებათ. წვერ-ულვაშს იპარსავენ და ტილებს ჭამენ. ისინი ტილებს ეძებდნენ აგრეთვე ტანსაცმლის ნაკერებში, აღმოჩენილ ტილებს კბილებით ტეხავდნენ. ამ საქმით გართულმა ოლუზმა, გაოცებულ და მიშტერებულ იბნ ფადლანს ძალიან მშვიდად და წყნარად უთხრა: „ძალიან გემრიელია“. (არტურ კისტლერ ონჩინჯი ქაბილუ, ჰაზარ იმფარათორლულუნუნ მირასი, ისტანბული, 1977, გვ. 37, 38. იქვე, 42). იბნ-ფადლანი ოლუზთა მეზობლების — ბაშქურთთა მიერ მამაკაცობის ორგანოსადმი თაყვანისცემის შესახებ წერს: ყოველი მათგანი ხისგან გამოჭრილ ასოს კისერზე იკიდებს. თუ მოგზაურობაში წავა, ანდა თუ მტერს შეხვდება, კისერზე ჩამოკიდებულ ხის ასოს კოცნის, მას ეთაყვანება და ეხვეწება ამ სიტყვებით: „ჩემო ღმერთო! გთხოვ შემისრულო ესა და ესაო.“ იბნ-ფადლანმა თარჯიმანის საშუალებით იკითხა, რატომ თვლით მამაკაცობის ორგანოს „გამჩენადო“. მას უპასუხეს: „იმიტომ, რომ მე მის მსგავსისაგან გავჩნდი, მის გარდა ჩემს გამჩენად არავის ვთვლიო. (დ. ავჯიოღლუ, III წიგნი, გვ. 2171).

ასეა თუ ისე, განვითარების ფრიად დაბალ დონეზე მყოფმა მეჯოგე-მომთაბარეებმა მრავალ ქვეყნებსა და ხალხებს გადაგვარების რეალური საფრთხე შეუქმნეს. მოკლედ, ოლუზ-სელჩუკ-თურქმენთა X საუკუნიდან დასავლეთისაკენ დაწყებული მოძრაობა შუა აზიის, ირანის, სომხეთის, ბიზანტიის, საქართველოს, სირია-პალესტინა-ეგვიპტისა და სრულიად აღმოსავლეთ ევროპის ბინადარ ხალხებისათვის დიდ უბედურებად იქცა. თუ თურქ-სელჩუკები მავერანნახარჰში (ამუდარია-სირდარიას შორის), ირანში, სომხეთში და ბიზანტიაში XI ს-ის 40-იან წლებამდე საძარცვავად ეპიზოდურად იჭრებოდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ, ახლა თანდათანობით სელჩუკი სულთნების: თოღრულ-ბეგის (1037-1063), ალფ არსლანის (1063-1072) და მელიქ შაჰის (1072-1092) ტაქტიკა იცვლება, იგი დაპყრობითი ხდება.“

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ „ოლუზთა მოზღვავება“, „ოლუზთა საშინელი დაცემები“, „სელჩუკთა ანუ თურქმენ მომთაბარეთა ტალღებად მოვარდნა“, „ოლუზების მიერ დატრიალებული საშინელებები“ და სხვა მსგავსი გამონათქვამები ეკუთვნით არა მარტო სხვა ერის აღმოსავლეთმცოდნეებს, არამედ თანამედროვე თურქ ავტორებსაც.

როგორც ითქვა, მომთაბარე თურქ-ოლუზთა ერთი ნაკადი ჩვეულებრივ მიილტვოდა კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან მდინარეების: ურალისა და ვოლგის აუზისაკენ. აქედან ისინი მიაწყდნენ ჩრდილო კავკასიას, ვოლგა-დონსა და კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის სივრცეებს, აქედან კი გაემართნენ ჩრდილო-შავი ზღვისპირეთისაკენ და დუნაის აუზისაკენ. „ურალის მთებიდან მოსულმა ოლუზებმა პაჭანიკები გარეკეს, პაჭანიკებმა უნგრელებს დაახეკინეს უკან, უნგრელებმა კი ბულგარელებისა და მორავიელების ადგილები დაიკავეს და ამით ახალი დროის შუა ევროპის რუკა თანდათან გამოიკვეთა. (არტურ კოსტლერის დასახ. შრომა გვ. 124-128; ემინ ოქთაის დასახ. ნაშრ. გვ. 25-27).

მაგრამ კულტურულად ბევრად უფრო მაღალ დონეზე მყოფი ამიერკავკასიისა და წინააზიის ხალხებისათვის — სპარსელების, სომხების, ალბანელების, ქართველების, არაბების, ბიზანტიელებისა და სხვებისათვის — კიდევ უფრო საბედისწერო იყო მომთაბარე თურქ-ოლუზ-სელჩუკთა და თურქმენთა კასპიის ზღვის სამხრეთიდან შემოვლით უწყვეტ ნაკადად გადმოსახლება.

თურქ-მომთაბარეთა ეს მძლავრი ტალღები, როგორც ზემოთ ითქვა, ამიერკავკასიასა და საქართველოს მოაწყდნენ XI ს-ის 60-80-იან წლებში. სწორედ ამ დროს მთელი კავკასია, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, როგორც ჩრდილოეთის მხრიდან, ისე სამხრეთიდან, მომთაბარეთა ალყაში აღმოჩნდა. მათ ჩრდილო კავკასიის ტრამალებთან ერთად დაიკავეს ჩრდილო შავი ზღვისპირეთი; კასპიის ზღვა აღმოჩნდა მთლიანად თურქული მოდგმის ალყაში. ამასთან XI ს-ის 70-80-იან წლებში თურქული ტომები, თავისი ნახირებითა და ფარეებით განაგრძნობდნენ ამიერკავკასიაში მთელი დაბლობებისა და ზეგნების ათვისებას. თურქ-სელჩუკთა შემოსევებთან დაკავშირებით იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ წერს“ თურქთა დაიპყრეს საქართველო და დაეშვნეს სამთა მდინარეთა სანაპირთა ზედა, ე. ი. მტკვარ-

გაგრძელება მე-9 გვ.

ხმა ხალხიდან

ეროვნული ბიზნესიდან

მრუდე სარკეების ქვეყანა, ანუ ნუთუ ამას სახელმწიფოს მართვა ჰქვია?

მე-5 გვერდიდან

ტანა სიმართლის დაფარვამ იქ, იგივეს მივილებთ ჯავახეთში. ამიტომ, იქნებ ჯობდეს საგნებს საკუთარი სახელები დავარქვათ და მტრების მიმართ ხანდახან მაინც მცირე პრინციპულობა გამოვიჩინოთ (ხომ პრინციპულები ვართ ქართველების მიმართ?!). სხვანაირად არის საშიშროება, რომ მალე ქართველები თვითონ იქცევიან ეროვნულ უმცირესობად საქართველოში. ჩვენი უფროსი თუ უმცროსი „ძმების“ მიზანიც ესაა. უნდა ითქვას, რომ დღეს ყველაფერი მათი გეგმების მიხედვით მიდის... აფხაზებიც კი გაკვირვებული არიან ქართველთა დაუცველობითა და უსუსურობით, იმდენად უყურადღებოდა ჰყავს მიტოვებული თავისი ერი დღევანდელ ხელისუფლებას. ისინი ხალხის ინტერესებს მხოლოდ იმდენად ითვალისწინებენ, რამდენადაც ეს „თბილი ადგილების“ შენარჩუნებისთვის ესაჭიროებათ.

გალისა და ახალქალაქის მოვლენების შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ საპრეზიდენტო, დამოუკიდებელ ქვეყანაში კი არა, ინდიელებივით რომელიღაც რეზერვაციაში ვცხოვრობთ: მოდიან, გვარბევენ, მონებს გვარქმევენ, ჩვენ კი ვითმენთ და შევყურებთ ხელისუფალთ. მათ კი... ჯერ არ სცალიათ — „პრივატიზაციითა“ და ქონების მოხვეჭით არიან დაკავებული. ოქროს კოშკებს ჯერ თავისთვის იშენებენ და თუ დრო და სურვილი შემორჩათ — ხალხსაც მიხედავენ. ასეთ დროს ყოველგვარი დესტაბილიზაცია, ომი მათთვის დამღუპველია (ამიტომ უფრთხილდებიან ასე ამ ე. წ. „სტაბილიზაციას“) — შეიძლება ყველაფერი დაკარგონ! აი ესაა მათი ე. წ. „პოლიტიკის“ ამოსავალი პრინციპი და ამიტომაა ის ასეთი პარადოქსებით სავსე და უსახური!

ჩვენ კი ინდიელებზე უარეს დღეში ვართ. მათი „ბელადი“ თვისტომებთან ერთად ეომებოდა მტერს. ისინი არც „ეუთოს“ და არც „გაეროს“ არ შეჰყურებდნენ, რადგან იცოდნენ — შენ გასაკეთებელს სხვა არასოდეს გააკეთებს (ასეც გამოდგა — ქართველთა აშკარა გენოციდი აფხაზეთში მათ არ დაადასტურეს“). ჩვენი პრეზიდენტი, მსოფლიოში რომ დიდ პოლიტიკოსად იცნობენ, მისი მოქმედებიდან და საქმეებიდან გამომდინარე, ხშირად „მოტყუებული“ (მოტყუება ორ-სამჯერ შეიძლება, მაგრამ ათჯერ?!), დამცირებული და დამარცხებული რჩება. მე პირადად მზად ვარ დავიჯერო მისი დიდი პოლიტიკოსობა, მაგრამ საქმეები, სამწუხაროდ, საწინააღმდეგოს მეტყველებენ — ჩვენი პრეზიდენტი მხოლოდ საკუთარ ერს მოუწოდებს, შეაგონებს, ჰპირდება აყვავებულ მომავალს (თუმცა მისგან შეპირებულმა ყველა ვადამ დიდი ხანია გაიარა!). აყვავება კი არა, პურის ფული აქვს საძებარი ხალხს. ვინც არ დაუჯერებს, მათ ძალით „არწმუნებენ“. ამისათვის შექმნილია პოლიციის უზარმაზარი აპარატი — ჯარზე 2-3-ჯერ მეტი. თავისთავად ფაქტი, რომ პოლიცია ჯარზე მეტია, მეტყველებს, რომ ხელისუფლებას „პრობლემები“ საკუთარ ხალხთან აქვს, ხოლო გარედან ის რატომღაც ვერავითარ საშიშროებას „ვერ ხედავს“ და ჯარის გაძლიერებას „საჭიროდ არ თვლის“. ამ მიზეზით ჯარი ჰყავთ „გერის“ როლში — მივიწყებული. იგი უკიდურესად დაკნინებული და დათრგუნულია: იყო ოფიცერთა თვითმკვლელობის რამდენიმე შემთხვევა მათი ოჯახების დამამცირებელი ყოფის ნიადაგზე. 4 თვეა ჯარში ის სიმბოლური „ხელფასებიც“ კი არ გაცემულა. ოფიცრები დილიდან საღამომდის ჯარისკაცებთან უნდა იყვნენ დაკავებული. მათ შემოსავლის სხვა წყაროს ნახვას კანონი უკრძალავს. ამის გამო მათ ხშირად პურის ფულიც კი არა აქვთ და მისი სესხად შოვნა უნევთ... ნავთისა და ნაყინის გამყიდველი მეზობლებისაგან ხელისუფლება ოფიცერს იმდენსაც კი არ უხდის, რომ მგზავრობის საფასური მაინც გადაიხადონ. არის ამის გამო მუდმივი კონფლიქტი მათსა და მძღოლებს შორის. მეტწილად დამცირებულნი ოფიცრები რჩებიან. ისინი ხალხს ეცოდება.



მხოლოდ „მერსედესებით“ მავალი ხელისუფლება „ვერ ხედავს“ ამას. აქედანაც ჩანს, რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი არ არიან დაინტერესებულნი ქართული ჯარის ფეხზე დაყენებით და გაძლიერებით. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია!

იქნებ იმიტომ, რომ რუსული ჯარი მათთვის ისევ „მშობლიურად“ რჩება? თუ ასეა — დანაშაულია ასეთი ხალხის ყოფნა ხელისუფლებაში! სამხედრო პირი, რომელიც ისეა დათრგუნული ცხოვრებისაგან, რომ ხალხში სიბრალულის გრძნობას იწვევს (ასეთია დღეს ქართველ ოფიცერთა უმეტესობა: ტრანსპორტში ფულს ვერ იხდიან, აცვიათ უსახურად, დადიან ლანდივით), ასეთი ოფიცრები ომს ვერ მოიგებენ! ამიტომაა, რომ ჩვენი ხათრი და შიში არც „დიდ, არც პატარა ძმებს“ არა აქვთ და ჩვენ, პრეზიდენტსაც და ჩვენც ლამის მასხრად გვიგდებენ (ახალქალაქის მაგალითი!) — თურმე ქართული სახელმწიფოს ფარგლებში ჩვენი ჯარის გადაადგილებაზე... ნებართვა მათგან უნდა ავიღოთ!

ჯარის დაუფინანსებლობას ხელისუფლება ბიუჯეტის სიმწირითა და კორუფციის მომძლავრებით ხსნის. ის კი ავიწყდებათ, რომ ამისი პირველი მიზეზი სწორედ თვითონ არიან — მიზეზი ყველაფერზე თვალის დახუჭვისა და ყველაფრის მიმტევებლობის პოლიტიკაა, რომელსაც ისინი ატარებენ (საფიქრებელია — შეგნებულად, რათა „მღვრიე წყალში თევზი ადვილად დაიჭირონ“).

ხალხი პრეზიდენტს იმისთვის ირჩევს, რომ დაიცვას მათი ინტერესები, როცა ამისი აუცილებლობა ჩნდება, ის კი ხაზინის ქურდებს მოპარულ მილიონებთან ერთად ვითომ „ხსნის თანამდებობებიდან“ (ანუ გადაჰყავს სხვა — უკეთეს ან თანაბარმნიშვნელოვან თანამდებობაზე!) ისე, რომ პასუხს არ თხოვს გაფლანგული თანხების შესახებ. ამის გამო იქმნება დაუსჯელობის ატმოსფერო, რომელიც იწვევს ხაზინის მძარცველთა კატასტროფულ მომრავლებას და კორუფციის აყვავებას. ამისი შედეგები კი ყველა ოჯახმა უკვე თავისთავზე გამოსცადა — გაუცემელი ხელფასები, შეუვსებელი ბიუჯეტი, დამშეული ხალხი ლამის ჩვეულებრივ ამბად იქცა.

ზოგიერთი ამ მოვლენათა მოძალებას პრეზიდენტის ჰუმანურობით ხსნის — რომ თითქოს „დემოკრატიაა“ და მას არ სურს ძალდატანების ელემენტების გამოყენება. ჯერ ერთი, საჭიროა კანონის უზენაესობის დაცვა და გატარება (ზევიდან დარეკვებისა და პროტექციონიზმების გარეშე); ხოლო ამისათვის ძალდატანებას დემოკრატია არ გამორიცხავს, მეორეც — როდესაც მას, რასაც ჩვენ „პრეზიდენტის ჰუმანურობას, ვუწოდებთ, შედეგად მოსდევს ხელფასების ქრონიკული დაგვიანება და ხალხის დამშევა, ეს არც „ჰუმანურობაა“ და არც „დიდსულოვნება“. ყველამ იცის, როცა „საჭიროდ თვლის“, პრეზიდენტს შეუძლია მკაცრი იყოს და ზომაზე მეტადაც კი. ამიტომ ასეთ დროს მისი მხრიდან „ჰუმანურობაზე“ და „დემოკრატიაზე“ აპელირება უფრო ამ კეთილშობილი გრძნობებით სპეკულირებას ჰგავს.

ავიღოთ თავდაცვის სფეროში შექმნილი სიტუაცია. ახალმა მინისტრმა იმ მდგომარეობას, რაც იქ დახვდა, არც მეტი, არც ნაკლები, უწოდა „დივერსია სახელმწიფოს წინაშე“; მაგრამ არავითარი რეაქცია ამას ხელისუფალთა მხრიდან არ მოყოლია, ყოველ შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ ნ. საჯაიამ ერთ-ერთი ინტერვიუში განაცხადა: „საქართველოს კუთვნილი სამხედრო შეიარაღების 90% (ოთხმოცდაათი!) განიავებული და დაკარგულია(!).“ იმ დროს ვინ იყვნენ თავდაცვის სამინისტროში პასუხისმგებელი პირები, ცნობილია — ნადიბაიძე და მეფარიშვილი. მოსთხოვა მათ ვინმემ ფორმალურად მაინც ამის შესახებ რაიმე პასუხი? თევზაძის მოსვლამდე რა, არ იცოდა პრეზიდენტმა, რა ხდებოდა ამ უწყებაში? მან კი სწორედ იმ ტოტალური სამხედრო ქონების დატაცებისა და დეზერტირობის დროს მეფარიშვილსა და მის მსგავსთ... მიანჭა უმაღლესი სამხედრო წოდებები(?!). ხალხს სასაცილოდ არ ყოფნის: დამარცხებული, გაჩანაგებული, ლამის პირქვე დამხობილი ქვეყანა და... ამდენი გენერლები და უმაღლესი ჯილდოები; რა მიზნით, ვისი დაკვეთით კეთდებოდა და კეთდება დღესაც ეს? ამას ხომ ჯარის დისკრედიტირების, სახელის გატეხვის მეტი არაფერი მოაქვს! დაუჯერებელია, ეს იყოს ხელისუფალთა მიზანი. მაგრამ რატომ უწყობენ ხელს ამ უმსგავსობას? სამხედრო ქონების 90% განიავებულია, ომი წაგებულია, დეზერტირთა რაოდენობა ფანტასტიკურ ციფრს აღწევს (6000!) და ასეთ დროს ელვისებურ კარიერას იკეთებს მთავარი შტაბის უფროსი... ჯერ გენერალი, შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი ხდება. ამავე პერიოდში, გაუგებარია რა დამსახურებისათვის, მას აჯილდოებენ გორგასლის III, შემდეგ II ხარისხის ორდენებითა და სხვა მრავალი მედლებით. რისთვის? ყველაფრის „განიავებისათვის“? იქნებ იმისთვის, რომ მისი ამ უმაღლეს თანამდებობაზე სამსახურის დროს მისი ოჯახის წევრები (ცოლი და შვილი) მსახურობდნენ... ჩვენდამი მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში (?!), რაც აშკარად ამორალურია, დაუშვებელია საღი გონებისთვის და უპრეცედენტოა უმაღლეს იერარქიაში მყოფ სამხედრო პირთა ბიოგრაფიაში; მსახურობდნენ იმ ქვეყნის ძალებში, რომელიც თავისგან წაქეზებული ხან ოსების, ხან აფხაზების სახელით ეწეოდა და დღესაც ეწევა ფარულ, გამოუცხადებელ ომს ჩვენ წინააღმდეგ და რომელმაც ფაქტურად წაგვლიჯა ეს კუთხეები.

იქნებ იმისთვის, რომ უმდიდრეს ნაწილში, სადაც მან „მოღვაწეობა“ დაიწყო, ქვა-ქვაზე აღარაა დარჩენილი — განავდა და გაიყიდა ყველაფერი, ხოლო შემდეგ მისი ინიციატივით განხორციელდა „ნაწილთათვის დისლოკაციის ადგილების შეცვლის“ ავანტურისტული გეგმა, რომლის შედეგად ისედაც მყიფე, ჩამოუყალიბებელ ნაწილებს დიდი მატერიალური ზარალი და ნგრევა მოუვიდა. სწორედ ამ გაუმართლებელი „გადაადგილების“ შემდეგ დაიწყო არა მხოლოდ ჯარისკაცთა, არამედ ოფიცერთა მასიური დეზერტირობა და ჯარიდან წასვლა (გაიხსენეთ მე-11 ბრიგადის დეზორგანიზაცია და დაშლა).

ან იქნებ იმისათვის, რომ მისგან შექმნილმა ე. წ. „სასწავლო ცენტრმა“ ქ. რუსთავში ისე შეწყვიტა არსებობა, 5 წლის მანძილზე ერთი სერჟანტიც კი არ მოუმზადებია(?!) და სახელმწიფოსთვის ზარალის მეტი არაფერი მოუტანია!...

რატომ ხუჭავს ხელისუფლება ყველაფერზე თვალს, რატომ არ გაირკვევა ყოველივე ახლა — თევზაძის მოსვლის შემდეგ მაინც?

მთავარი მიზეზი ჩვენი შეიარაღებული ძალების სავალა-

ლო მდგომარეობისა და სხვა უბედურებებისა სწორედ ესაა — ხელისუფალთა მხრიდან ყველაფერზე თვალის დახუჭვისა და წაყრუების პოლიტიკა, რომელმაც შეინირა ჩვენი წილი სამხედრო ქონების... 90%(!). და რომელიც ხელს უწყობს კორუფციას, ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას, ძირს უთხრის მის ძლიერებას. მოსასმენადაც კი მძიმეა: თავდაცვის ხარჯებით „ვილაცეები“ მდიდრდებიან, ხოლო კუთვნილი ე. წ. „ხელფასების“ მომლოდინე ოფიცრები (4 თვეა ხელფასები არ მიუღიათ) შენობებიდან სასოწარკვეთილი ვარდებიან და სიცოცხლეს ისწრაფებენ, უჭმელად დარჩენილი ჯარისკაცები მასიურად დეზერტირობენ. ამ დროს კი ხელისუფლება იმ „ვილაცეებს“... უმაღლეს წოდებებსა და მედლებს ურიგებს.

რით არაა ეს „სახელმწიფო“ „მრუდე სარკების ქვეყანა“?

ყოველგვარი კომენტარი, მგონი, აქ უადგილოა!

გამოსავალი ჯარში შექმნილი კატასტროფული სიტუაციიდან მე ასე მესახება:

პირველ რიგში — სასწრაფოდ და რადიკალურად უნდა შეიცვალოს ხელისუფალთა მოჩვენებითი, ფორმალური მიდგომა ჯარის პრობლემებისადმი ნამდვილი, პატრიოტული მიდგომით: ან უნდა გამოიყოს ჯარის შესანახად დამატებითი ფინანსები, ან პირდაპირ გამოუცხადონ ოფიცრებს, რომ ისინი საჭირონი არ არიან და მიხედონ თავიანთ ოჯახებს თვითონ. იმაზე აპელირება, რომ „ქვეყანას უჭირს“, წმინდა წყლის სპეკულაციაა: შეხედეთ, რა სასახლეები, ოფისები, კაზინოები და რესტორნები შენდება. გაიარეთ რესტორნებთან მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე — გადაჭედილია უცხოური მანქანებით. ე. ი. ქვეყანაში ფული ტრიალებს, მაგრამ ეგაა — ბიუჯეტში არ შედის. ან როგორ შევა, როცა არ შეაქვთ — ვილაცას ჯიბეში უდებენ. მაგრამ რას აკეთებს ხელისუფლება?

სწორედ აქ უნდა თქვას მან თავისი სიტყვა. მათი ერთ-ერთი მთავარი დანშნულება ხომ გადასახადების აკრეფაა. ამას კი ისინი თავს, როგორც აცხადებენ, ვერ ართმევენ. დავიჯეროთ? თუ ასეა, რას ებღაუჭებიან იმ სკამებს, იქნებ დაუთმონ გზა მათ, ვინც ამას შესძლებს.

მეორე — უნდა დაიწეროს ქართული ბუნებიდან და მენტალიტეტიდან გამომდინარე ახალი სამხედრო წესდებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ეროვნული ადათ-წესები, ტრადიციები, ეკონომიური-გეოგრაფიული პირობები, ქვეყნის მასშტაბები და რაც მთავარია ის, რომ ჯარში ჩვენი შვილები მსახურობენ და ისინი ისევე და იმავე მენიუთი უნდა იკვებებოდნენ, როგორც ჩვენ და არა რუსულად — მხოლოდ „ბორშჩით“ და „პერლოვკით“.

მესამე — ჯარში უნდა შეიქმნას თავდაცვის სამინისტროსგან დამოუკიდებელი, მაკონტროლებელი ორგანო (ყოფილი „ზამპოლიტების“ მსგავსი), რომელიც იქნება ანგარიშვალდებული, უშუალოდ თავდაცვისა და სახ. უშიშროების საბჭოს წინაშე და მათ მეთაურთან ერთად მოეთხოვოთ პასუხი ნაწილში შექმნილ მდგომარეობაზე. ამ ორგანოთა წარმომადგენლობის დანიშვნა-განთავისუფლებაში ნაწილის მეთაური არ უნდა ერეოდეს, როგორც დღეს ხდება. ისინი მეთაურისგან ხელშეუხებელი უნდა იყონ.

დღეს არსებული აღმზრდელობითი სამმართველო და მისი განყოფილებები ფორმალურად თითქოს დამოუკიდებელი არიან, მაგრამ ფაქტურად ნაწილის მეთაურთა დიქტატის ქვეშ იმყოფებიან. მათი ფუნქციები დაყვანილია „ისტორიის მასწავლებლის“ დონემდე. მათ რეკომენდაციებს მეთაურები ხშირად არ ითვალისწინებენ. ხოლო ამ სამსახურის ზემოთნათქვამის მსგავსად ჩამოყალიბების შემთხვევაში აღმზრდელობითი სფეროს როლი გაიზრდება და მოისპობა მეთაურთა ერთპიროვნული, განუკითხავი პარპაში ნაწილებში, როგორც დღეს გვაქვს. ერთმმართველობის აუცილებლობის შემთხვევაში კი (ომის წინ ან ომის დროს) ის შეიძლება აღდგეს მთავარსარდლის სპეციალური ბრძანებით. მშვიდობიან დროს კი მეთაურებისთვის ერთპიროვნული და განუსაზღვრელი უფლებების მინიჭება იწვევს მათ უკიდურეს გათავხედებას, ვინაიდან ცნობილია: „პიროვნებისთვის აბსოლუტური ძალაუფლების მინიჭება იწვევს ამ პიროვნების აბსოლუტურ გახრწნას.“ ასეა დღეს თითქმის უმეტეს სამხედრო

გაგრძელება მე-11 გვ.

სამართალი

«ინტერვიუ» განაჩენთან

„ელიზი“-ომეგა“-ს სასამართლო პროცესს, მოგეხსენებათ, არაერთი გაზეთი აშუქებდა, რაც „ელიზელთა“ ადვოკატების უკმაყოფილებას იწვევდა (ცხადია, მხოლოდ ის პუბლიკაციები, სადაც მათ ვერსიებს არ იზიარებდნენ).

ჟურნალისტმა უდანაშაულობის პრეზუმფცია რომ უნდა დაიცვას, ანბანური ჭეშმარიტებაა სამართლებრივ თემაზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის თუ მსჯავრდებულის პირადი ღირსება და პატივი რომ არ უნდა შებღალოს, ესეც ცხადია, მაგრამ, მავანს ისიც თუ არ მოსწონს, რაც იურიდიულად დასაბუთებული და დამტკიცებულია, ეს უკვე ჟურნალისტის ბრალი აღარაა. თუ თემიდას სიტყვასაც აღარ ვენდეთ, მითუმეტეს, როცა ეს სიტყვა რეალურ მტკიცებულებებს ეყრდნობა, მაშინ საერთოდ აღარ ჰქონია აზრი კრიმინალურ თემებზე მუშაობას, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მასმედიის მონაწილეობას.

ავიღოთ „ელიზი“-„ომეგა“-ს სისხლის სამართლის საქმე, რომელზედაც ამდენი წერა მომაბეზრებლად მოეჩვენებათ მათ, ვისაც არ ესმით ამ საქმის სამართლიან და ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანის მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასული ჩვენი ქვეყნისათვის. აღნიშნული საქმე ორ კონკურენტ ქართულ ფირმას შორის მომხდარი დანაშაული კი არაა მხოლოდ, იგი იმ საშიში ტენდენციის სიმპტომსაც შეიცავს, რომელსაც შეუძლია შიგნიდან გამოღრღნას ჩვენი ეკონომიკა და საფუძველი გამოაცალოს ქვეყნის სიძლიერეს.

ამიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა ერთი ფირმის („ელიზის“) მიერ, მეორე, კონკურენტი ფირმის („ომეგა“-ს) წინააღმდეგ ორგანიზებულ ბანდიტური თავდასხმების სამართლებრივ შეფასებას, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენასა და აღმოფხვრას.

პატივცემულმა მკითხველმა სუბიექტურობაში რომ არ დამდოს ბრალი და „ელიზელთა“ მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა არ დამწამონ, შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის (თავმჯდომარე ლ. ბოჭორიშვილი, მსაჯულები მ. სხირტლაძე და თ. დარჩია) მიერ „ელიზი“-„ომეგა“-ს საქმეზე 1998 წლის 20 აგვისტოს გამოცხადებული განაჩენიდან. აზრი რომ უფრო ნათლად გამოკკვეთო, გადავწყვიტე, განაჩენთან „ინტერვიუს“ აღება და, აი, რა გამოვიდა:

თ. ქ. — ვინ და რატომ დაუპირისპირდა ფირმა „ომეგა“-ს?

განაჩენი — 1996 წლის გაზაფხულზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელიზი“-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა საზღვარგარეთიდან თამბაქოს ნაწარმის შემოტანა-რეალიზაციის საქმეში შ. პ. ს. „ელიზი“-ს კომერციულ საქმიანობაში კონკურენტებთან უპირატესობის მოსაპოვებლად გადაწყვიტა შეექმნა ბანდიტური ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის შეიარაღებული თავდასხმების გზით, მატერიალურ ზარალს მიაყენებდა კონკურენტ ფირმებს. ბანდიტური ჯგუფის სანდო პირებით დაკომპლექტება და უშუალო ხელმძღვანელობა შ. პ. ს. „ელიზი“-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დაავალა შ. პ. ს. „ელიზი“-ს თანამშრომელს, განსასჯელ გელა ბატატუნაშვილს...“

თ. ქ. — გელა ბატატუნაშვილი ადასტურებს ყოველივე ამას?

განაჩენი — 1997 წლის 20 მარტს ეჭვმიტანილის სახით და 1997 წლის 27 მარტს ბრალდებულის სახით დაკითხვებისას გელა ბატატუნაშვილმა აჩვენა, რომ 1996 წლის გაზაფხულზე მას დაუძახა ფირმა „ელიზი“-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და უთხრა, რომ სჭირდებოდა ისეთი სამსახურის შექმნა, რომელიც შეაგროვებდა ინფორმაციას ფირმა „ელიზი“-ს კონკურენტი ფირმების საქმიანობის და მათი თანამშრომლების შესახებ, რაც დაფიქსირდებოდა ფოტო და ვიდეოფირებზე. ფირმა „ელიზი“-



ს ყველაზე მეტ კონკურენციას უწევდა ფირმა „ომეგა“, რომელიც ასევე ვაჭრობდა სიგარეტებით. იმ პირმა ასევე უთხრა, რომ ამ სამსახურში მასთან ერთად იმუშავებდა ფირმა „ელიზი“-ს თანამშრომელი ზ. ცინცაძე, ასევე დაავალა აღნიშნული საქმიანობისათვის მოენახა რამდენიმე სანდო ბიჭი და შეპირდა, რომ თითოეულს გადაუხდიდა 300 აშშ დოლარს თვეში. მან ამ სამსახურისათვის აირჩია გ. ქორქია, გ. ხრიკული და სხვა პირები... გ. ბატატუნაშვილმა გადაწყვიტა მოესმინათ ფირმა „ომეგა“-ს თანამშრომელთა სატელეფონო საუბრები. ამ მიზნით დაუკავშირდა ფირმა „ელიზ“-ში მომუშავე თავის ნათესავს ზ. ცინცაძეს, რომელსაც ნაცნობი ჰყავდა სატელეფონო სადგურში და სთხოვა მას დახმარება სატელეფონო საუბრების მოსმენაში.

თ. ქ. — და ზურაბ ცინცაძეც დაეხმარა, არა?

განაჩენი — როგორც წინასწარი გამოძიების დროს, ასევე სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა ზ. ცინცაძემ თავი დამნაშავედ ცნო ტელეფონით ლაპარაკის საიდუმლოების დარღვევაში და დაადასტურა, რომ მან 1994 წელს მუშაობა დაიწყო ფირმა „ელიზ“-ში, რომელსაც ხელმძღვანელობდა თამაზ ელიზბარაშვილი. 1996 წლის აპრილში მისმა ნათესავმა და ფირმა „ელიზი“-ს თანამშრომელმა გელა ბატატუნაშულმა მას უთხრა, რომ ფირმის კომერციული საქმიანობისათვის საჭირო იყო „ელიზი“-ს კონკურენტი ფირმის „ომეგა“-ს თანამშრომლების სატელეფონო საუბრების მოსმენა და თხოვა მოენახა საბურთალოს სატელეფონო სადგურში ნაცნობი, რომელიც დაეხმარებოდა ფირმა „ომეგა“-ს სატელეფონო საუბრების მოსმენაში. იგი დაუკავშირდა თავის ნაცნობს, №39 სატელეფონო სადგურის მუშაკს დავით მალაღურიძეს, რომლის დახმარებითაც გაიცნო №37-38 ავტომატური სატელეფონო სადგურის მუშაკი ირინე ტყემალაძე, რომელსაც უთხრა, რომ სჭირდებოდა რამდენიმე ტელეფონის მოსმენა. ი. ტყემალაძე დათანხმდა მის წინადადებას.

თ. ქ. — რატომ დათანხმდა ამ უკანონობაზე?

განაჩენი — წინასწარი გამოძიების დროს, მთელი გამოძიების პროცესში განსასჯელი ირინე ტყემალაძე აღიარებდა არაერთხელ ქრთამის აღებას სატელეფონო საუბრების მოსმენათა დახმარების ნაწილში. მან აჩვენა, რომ 1996 წლის ზაფხულში ტელეფონით დაუკავშირდა საბურთალოს რაიონის სატელეფონო განყოფილების ტექნიკური განყოფილების თანამშრომელი დავით მალაღურიძე, რომელმაც უთხრა, რომ ნახავდა. მართლაც მივიდა და გააცნო ზურაბ ცინცაძე. ამ უკანასკნელმა აუხსნა მას, რომ სჭირდებოდა ორი სატელეფონო ნომრის (ფირმა „ომეგა“-ს ტელეფონების — თ. ქ.) დაპარალელება, რაშიც შესთავაზა ყოველთვიურად 100 ამერიკული დოლარის გადახდა. მან (ე. ი. ტყემალაძემ) იცოდა, რომ აღნიშნულის უფლება მას არ გააჩნდა ტექნიკური განყოფილებიდან შესაბამისი განაწესის მიღების გარეშე, მან ასევე იცოდა, რომ ამ გზით შესაძლებელი იყო დაინტერესებული პირების მიერ აბონენტების სატელეფონო საუბრების მოსმენა, მაგრამ მატერიალური გაჭირვების გამო მაინც დათანხმდა ზ. ცინცაძის წინადადებას.

თ. ქ. — გიორგი ხრიკულის გარდა ორივე განსასჯელმა — ზურაბ ცინცაძემ და გელა ბატატუნაშვილმა სასამართლოზე უარყვეს ირინე ტყემალაძისათვის ქრთამის მიცემა...

განაჩენი — სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს განსასჯელების — ზ. ცინცაძისა და გ. ბატატუნაშვილის ჩვენებებს იმ ნაწილში, სადაც ისინი მიუთითებენ, რომ თითქოსდა გაწეული სამსახურისათვის ი. ტყემალაძისათვის არ მიუციათ ქრთამის სახით გასამრჯელო... აღნიშნული რომ ასე არ იყო, დადასტურებულია საქმის მასალებით, კერძოდ: გ. ბატატუნაშვილმა 1997 წლის 20 მარტს ეჭვმიტანილის და 1997 წლის 27 მარტს ბრალდებულის სახით დაკითხვისას აღიარა ჩადენილი დანაშაული. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა შს სამინისტროში და აჩვენა ის, რაც იცოდა საქმის შესახებ... მან აჩვენა, რომ ტელეფონის ხაზების ახალ მისამართზე გადაყვანის საკითხი მოაგვარა ზურაბ ცინცაძემ. მანვე აღნიშნულ მისამართზე მიიყვანა ირინე ტყემალაძე, რომელიც მას გააცნო როგორც სატელეფონო სადგურის მუშაკი, რომელიც ეხმარებოდა მათ სატელეფონო საუბრების მოსმენაში. ამის შემდეგ ი. ტყემალაძესთან ფული მიჰქონდა მას და გ. ხრიკულს. საერთოდ, ი. ტყემალაძეს აძლევდნენ თვეში 500 დოლარს. დაახლოებით სექტემბრის თვეში (1996 წელს — თ. ქ.) მას შეხვდა ი. ტყემალაძე და სთხოვა ესესხებინა 1500 აშშ დოლარი ბინის შესაძენად. მან თამაზ ელიზბარაშვილს გამოართვა აღნიშნული თანხა, გადასცა ი. ტყემალაძეს სესხად. ამის შემდეგ ტყემალაძეს მისაცემი თანხიდან უქვითავდა ვალს...

თ. ქ. — რა შედეგი მოჰყვა ფირმა „ომეგა“-ს ტელეფონების მოსმენას „ელიზელთა“ მიერ?

განაჩენი — 1996 წლის აგვისტოს ბოლოს სატელეფონო საუბრების მოსმენისას გელა ბატატუნაშვილმა გაიგო, რომ ფირმა „ომეგა“-ს უახლოეს დღეებში ქ. ბათუმში უნდა წაელო დიდი რაოდენობით თანსა (დილერისათვის გადასაცემი

გაგრძელება მე-11 გვ.

პრობლემა არ გამქრალა, იგი მხოლოდ მივიწყებულია

მომთაბარე სელჩუკ-ოღუზ-თურქმენები და საქართველო

(ისტორია და შედეგები)

მე-7 გვერდიდან

სა ალაზანსა და იორსა ზედა... ყოველ მდინარის აუზში ასი-ათასი კომლისა „კაცი დაესახლა“... და დაიპყრეს სახითა ამით ქართლი და კახეთი.“ (ქართული პროზა, წიგნი VI, თბ., 1984, გვ. 489. დ. ავჯიოღლუ. თურქლერინ თარიჰჩ, I წიგნი, გვ. 144. ემრექ ონგარის დასახ. ნაშრ. გვ. 49), თურქ-სელჩუკები „დიდთურქობის“ წლებში დასავლეთ საქართველოშიც შეიჭრნენ და გააპარტახეს ზღვამდე.“X (ნ. შენგელიას დასახ. ნაშრ. გვ. 316).

ამგვარად თურქმა მომთაბარეებმა დაიკავეს მთელი ირანი, აღმოსავლეთი ამიერკავკასია. მთელი სომხეთი, ბაღდადის სახალიფო. 1071 წელს სულტანმა ალ-ფარსლანმა 30 ათასიანი ჯარით მალაზკერთან დაამარცხა ბიზანტიის 200 ათასიანი არმია (რომლის დიდი ნაწილი დაქირავებულ ოღუზთაგან შედგებოდა) და იმპერატორი დიოგენი ტყვედ ჩაიგდო. ამის შემდეგ თურქ-სელჩუკები სულ მალე დაეუფლნენ თითქმის მთელს მცირე აზიას და მალაზკერტის გამარჯვებიდან 7-8 წლის შემდეგ ეგეოსისა და მარმარილოს ზღვების სანაპიროებამდე მივიდნენ. (ემარე ქონგარის დასახ. ნაშრ. გვ. 49; დ. ავჯიოღლუ, I, გვ. 144). 80-იანი წლების დასაწყისისათვის სელჩუკებმა თავისი პირველი ანატოლიური თურქული იმპერიაც შექმნეს დედაქალაქ იზნიკით. (დ. ავჯიოღლუსა და ე. ქონგარის დასახ, ნაშრ-ები). დასავლეთისაკენ თურქ-სელჩუკთა ამ გრანდიოზულ მოძრაობათა და დაპყრობათა , შესახებ ა. იაკუბოვსკი წერს: „სელჩუკურმა მოძრაობამ თავისი გავლენა მოახდინა არამარტო წინა აზიისა და კავკასიის, არამედ გარკვეულ წილად ეგვიპტის, ბიზანტიის, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ცხოვრებაზე, ხოლო ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებზეც.“ (იზვესტია ან სსსრ, ოტდ. ობშ. ნაუკ, მ-1937, №4, გვ. 921). მუნეხმ-ბაში წერს, რომ როდესაც ალფ-არსლანი შეიჭრა ნახჭევანში და საქართველოს დასალაშქრავად გაემზადა, მასთან მივიდნენ ირანის, შირვანის, ბაბ-ალ-აბვაბის (განჯის) და სხვა ტერტორიების გამგებლები და ამირები, სულთანს მორჩილება გამოუცხადეს და თავიანთი ლაშქრით საქართველოს წინააღმდეგ, სამსახური შესთავაზეს. (ციტირებულია ნ. შენგელიას ნაწრომიდან „სელჩუკები და საქართველო XI ს-ში“, თბ. 1968, გვ. 220). ამიერიდან XVII ს-ის ბოლომდე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მხარეების გამგებელთა ჩვეულებად იქცა საქართველოს, როგორც ქრისტიანთა ქვეყნის, ასაოხრებლად წამოსული ყოველი აღმოსავლეთის მბრძანებლის მხარდაჭერა. ამას მოგვითხრობს ისტორია.

როგორც ქართველი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, მომთაბარეებმა ჩვენს ქვეყანაში პირველად დაიკავეს საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარეები: ჰერეთი, კახეთი, ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. დანარჩენ ქართლი და დასავლეთი საქართველო. სადაც კი თურქ-სელჩუკეები მივიდნენ, ყველგან ნგრევა-აოხრებისა და გაპარტახების კვალი დატოვეს. შესწყდა ხვნა და თესვა, რადგან ქართველი მოსახლეობა გაიელიტა, გადარჩენილები მიუვალ მთებს შეეხიზნენ, ხოლო ქართველთა ბალვენახები და სახნავ-სათესი ფართობები სელჩუკთა ნახირებისა და ფარებისათვის საზაფხულო და საზამთრო საძოვრებად და იალაღებად იყო გადაქცეული. სამართლიანად შენიშნავს ე. ვეიდენბაუმი, რომ თურქული ზღვის შუაგულში კუნძულად აღმართული დიდი კავკასიონის მასივზე ქართველური და მთიელი ტომები ძლივს გადაურჩნენ (თურქ-მომთაბარეებისაგან) სრულ დაპყრობასა და მოსპობა-გადაშენებას (მისი პუტეევდიტელ პოკავკაზუ, ტიფლის, 1888, გვ. 119). თურქ-სელჩუკ-ოღუზ მომთაბარეებისათვის, მათი ტრადიციული მეურნეობის — მეჯოგეობის — ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის დაპყრობილ ქვეყნებში ხელშემშლელად გამოდიოდა ქალაქები, დაბები, სოფლები და ბინადარი მოსახლეობის ტრადი-

ციული ფეოდალური მეურნეობა, ე. ი. ხვნა-თესვა და ბალვენახები. ამიტომ იყო, რომ XI ს-ის 40-60-იანი წლებიდან ირანში, სომხეთში, ბიზანტიაში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში მომთაბარეთა სულთანები და ამირები, განსაკუთრებით ქსრიტიანთა ქვეყნებში, გულმოდგინედ ცდილობენ ადგილობრივი მაღალი ფეოდალური კულტურის მოშლისათვის და მის ადგილას მეურნეობის აღმოსავლურ-ბარბაროსულ ფეოდალური ურთიერთობის დამყარებისათვის. საქართველოს წინააღმდეგ თურქ მომთაბარეების მიერ XI-XIV და შემდგომ ს-ებში წარმოებული აგრესიის წინაარსი და პრაქტიკა იყო. რაც შეიძლება მეტი მომთაბარეების თავისი სამფლობელოდან მოცილება და სომხეთის, ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებში გადმორეკვა. ეს თოღრულ ბეგმა (1037-1063) წამოიწყო, ხოლო ალფ-არსლანმა და მელიქ შაჰმა ეს პრაქტიკა გააფართოეს. სელჩუკები დაპყრობილ ქვეყნებში თავიანთი ჯოგებით, ფარებითა და ნახირით სახლდებოდნენ და ნიადაგს აცლიდნენ არა მარტო განვითარებულ ფეოდალურ მეურნეობას, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის მოსპობასთან ერთად ანადგურებდნენ კულტურულ, სამეურნეო და საკულტო ხასიათის ნაგებობასაც. როგორც ამიერკავკასიაში, ისე საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „სადაც კი თურქები გაჩნდებოდნენ ყველგან მათის მოღვაწეობის ძეგლად უაღრესი ბარბაროსობა, გაოხრებული და გადაბუგული ქვეყნები რჩებოდა. (მისი ქართ. ერის ის. II, გვ. 161). „დიდი თურქობა“ — ეს იყო პირველი დიდი ბრძოლა თურქულ ველურ მომთაბარეობასა და ქართულ კულტურულ მეურნეობას შორის (ნ. ბერძენიშვილი, სის, I, თბ, გვ. 375).

ვახტანგ ნადირაშვილი

(გარძელება იქნება)

ჰოლივუდის [illegible]

ბიოგრაფიული ცნობები მსახიობ ჯენიფერ ლოპესზე

ჯენიფერ ლოპესი ულამაზესი ქალია, ის შესულია ამერიკის 100 ულამაზეს ქალბატონთა სიაში.

მსახიობი დაიბადა 1970 წ. 24 ივლისს ნიუ-იორკში (ბრონკსში). მამა

იყო წვრილი ბიზნესმენი, დედა კი – საბავშვო ბაღის აღმზრდელი. ჯენიფერს ჰყავს ორი და.

თვით მსახიობი მბობს: „მე მინდოდა გავმხდარიყავი ვარსკვლავი, არ ჰქონდა მნიშვნელობა ხელოვნების რომელ დარგში, უბრალოდ, მინდოდა ჩემთვის ასობით და ათასობით თვალს ეცქირა.“

პირველად ჯენიფერი გადასაღებ მოედანზე მოხვდა 16 წლის ასაკში, ფილმში „ჩემი პატარა გოგონა“, სადაც მან ითამაშა ეპიზოდური როლი, მიუხედავად ამისა, სწორედ ამ სურათმა განსაზღვრა მისი ბედი – მსახიობი გახდა.

1990 წელს ჯენიფერ ლოპესს იღებენ ტელესიერიალებში „მეორე შანსი“ და „მამა მალიბუ“. მაგრამ მსახიობმა მხოლოდ 1995 წელს შესძლო ყურადღება მიექცია, როდესაც ითამაშა კინორეჟისორ გრიგოლი ნავას დრამაში „ჩემი ოჯახი“, ერთი წლის შემდეგ იწვევენ ფილმებზე „სელენა“ და „ანაკონდა“, სწორედ ამ სურათებმა მისცა ბიძგი მას ალმაფრენისთვის.

1997 წლისთვის მსახიობს ჰქონდა სამი „ჰიტი“. ესენია ფრენსის ფორდ კოპოლას სურათი „ჯეკი“, „ანაკონდა“ და „სელენა“. რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა ლოპესი მიიწვია მთავარ როლში ფილმში „თვალთახედვის მიღმა“, სურათში მსახიობს პარტნიორობას უწევს ჯორჯ კლუნი. ფილმის დასაწყისისათვის ლოპესი ითხოვდა დემი მურის ჰონორარს 5 მილიონი დოლარის ოდენობით, იმასთან შეფარდებით, რომ მის პარტნიორს 10 მილიონ დოლარს აძლევდნენ. დიდი სკანდალის შემდეგ ჯენიფერი დათანხმდა ორ მილიონს, ეს კი მხოლოდ იმის შემდეგ მოხდა, როცა გაიგო, რომ სურათმა „ანაკონდამ“ 100 მილიონი შემოსავალი მოიტანა კინოგაქირავებაში.

ჯენიფერ ლოპესი ყველაფერ ამასთან ერთად ამპარტავანიც არის. ის თანმიმდევრობით კიცხავს თითქმის ყველა მსახიობ ქალს. კემერონ დიასზე ამბობს: „ის მანეკენია, რომელსაც ცხოვრებაში გაუმართლა, ისეთ რეჟისორებს ხვდება, რომლებიც მის სილამაზეს გაცილებით დიდ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე მსახიობურ ნიჭს.“

გვინეტ პელტროუს შესახებ კი არაფერი უნახავს თურმე მსახიობს, მხოლოდ მისი ქორწინება თუ განქორწინება სმენია ბრედ პიტთან.

ერთადერთი ჯენიფერ ლოპესის მოწინააღმდეგეზე ჰოლივუდში, სალმა ხეიკზე, მსახიობი უბრალოდ იცინის და ამბობს: „ორივეს შემოგვთავაზეს ფილმებში „ანაკონდასა“ და „მოჩქარემ ხალხი გააცინა“ თამაში, მე „ანაკონდა“ ავირჩიე, რადგან გასართობია ჯუნგლებში ხეტიალი და მოგზაურობა, ხოლო მას კი დარჩა სურათი ორ იდიოტ შეყვარებულზე. ჩვენი გაზეთის მეშვეობით თქვენ გაეცნობით ჯენიფერ ლოპესის ჭორებსაც (რას ვიზამთ, ქალია...).

ამ თამამი ქალის მიღმა სევდაც იმალება, რომელიც ნაჩქარევმა ქორწინებამ მოუტანა აჯანი ნოასთან. ერთი წლის განმავლობაში უმტკიცებდა მეუღლე, რომ შემომტანი ოჯახში თვითონ უნდა ყოფილიყო, ხოლო ჯენიფერი კი კარგი დიასახლისი და ბავშვების აღმზრდელი. ჰოლივუდში მსახიობები ასეთ წინადადებაზე, რაღა თქმა უნდა, განქორწინებით პასუხობენ.

სიმართლე წარსულზე

დემი მურს ჰქონდა საშინელი და ტანჯული ცხოვრება წარსულში, 10 წლის ასაკში ის დაავადებული იყო ქრონიკული თირკმელების ნეფროზით, რომელსაც ვერაფრით ვერ კურნავდნენ და მთელი ეს პერიოდი მიჯაჭვული იყო ინვალიდის სავარძელზე, ხოლო კანზე კი ლორწოვანი გამონადენი ჰქონდა. ექიმების დიდი მცდელობის შემდეგ, დემიმ გადალახა ეს სიძნელე და ფეხზე წამოდგა, მაგრამ

ამის მიუხედავად, ყველაფერი ასე არ დამთავრებულა. დაადგინეს, რომ მსახიობი საერთოდ ვერ ხედავს მარცხენა თვალით.

მას არც პირად ცხოვრებაში და პარტნიორთა არჩევანში გაუმართლა. პირველად იქორწინა 17 წლით თავისზე უფროს მუსიკოს ფრედი მურზე, რომელსაც 5 წლის შემდეგ დაშორდა. გულგატეხილი დარჩა მსახიობი ემილი ესტევერსოლთან რომანის დამთავრების შემდეგაც.

11 წლის წინ იქორწინა ბრიუს უილისთან. როდესაც დემის დედამ ემილიმ პირველად რესტორანში ნახა ბრიუსი მაისურში, შორტებსა და შემოტრიალებული კეპით, რატომღაც მოეწონა და დღემდე იმედი აქვს, რომ 11 წლის ცოლ-ქმარი კვლავ შერიგდება.

ჯესიკა ლანგი
(მსახიობის სამზარეულო და კარიერა)

49 წლის ჯესიკა ლანგი ორჯერ გახდა ოსკარის პრიზიორი (1982 წ) ფილმისთვის „ფრენსისი“, ხოლო 1994 წ. სურათისათვის „ცისფერი ზეცა“. მისი კინოკარიერა 22 წელს მოიცავს. მთელი ამ წლების განმავლობაში ბევრი იყო როგორც წარმატება, ასევე ჩავარდნა. მაგალითად, 1976 წელს რიმეიქი ფილმისთვის „კინგ-კონგი“, გაითათხა კრიტიკოსებისაგან, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავს, ამ სურათმა დაანათლა ჯერ კიდევ ოფიციანტს, მსახიობის კარიერა.

ჯესიკას მოსწონდა ისეთი როლების განსახიერება, როცა შესაძლებელი იყო ემოციის გამოვლენა, ის სრულიად თავისუფალი იყო სექსუალური კადრების გადაღებისას. ცნობილი

ბილია სურათი „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ აკაკუნებს“, მაგიდის სცენით ჯეკ ნიკოლსონთან.

სულ ახლახანს ჯესიკა ლანგი ვიხილეთ ახალ ამპლუაში ფილმით „ნათესავი ბეტი“, სადაც მან განასახიერა არისტოკრატი ქალი, რომელიც ცხოვრობს მეცხრამეტე საუკუნეში საფრანგეთში.

როგორც თვითონ მსახიობი აღნიშნავს, გადასაღებ მოედანზე იმდენად ძნელი არ იყო საკუთარი თავის ატანა, რამდენადაც ეკრანზე ნახვა გამიჭირდა, რადგან თავზე მუზარადივით მედო შავი პარიკი, ხოლო სახეზე გრიმი, რომელიც გადაფითრებულ ელფერს მაძლევსო.

ჯესიკა ლანგის მომავალი გეგმები ასეთია: ითამაშოს შექსპირის ახალ კინოვერსიაში „ტიტა ანდრონიკა“, სადაც პარტნიორობას გაუწევს ენტონი ჰოპკინსი.

მსახიობს აგრეთვე დიდი სურვილი აქვს ითამაშოს ლონდონის სცენაზე იუჯინ ონილის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „დიდი დღე მიდის ღამეში“.

მეორე მსოფლიო ომი კვლავ მოდაშია

მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკა გვევლინება დემოკრატიის დამცველად.

ჰოლივუდმა წარმოადგინა წარმოუდგენელი და საშინელი ბრძოლები ფილმებში: „აპოკალიფსი დღეს“, „შველზე მონადირე“, „დაბადებული 4 ივნისს“ და სხვები.

თავდაპირველად თითქოს ინტერ-

ესი ამ ჟანრში რეჟისორებისა გაალვივა სპილბერგის სურათმა „რიგითი რაიანის გადასარჩენად“. ეს ფილმი კინოგაქირავებაში ჰიტად იქცა და კინოკრიტიკოსთა მოწონებაც დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ სურათი 3 საათიანია, საოცრად კარგად არის აღბეჭდილი მასში სიმკაცრე, სისასტიკე, ნატურალურობა და რეალურობა.

ასეთი სურათები, ალბათ, საჭიროა ახალგაზრდობისთვის, აღნიშნავს რეჟისორი: მომავალმა თაობამ უნდა ისწავლოს ისტორიის შეგრძნება და უნდა იცოდნენ, რომ მართო ლაზერული იარაღი არ არსებობს.

მიუხედავად ამისა, ყველა თაობას სხვადასხვა შეხედულება აქვს ომის შესახებ და სულ სხვანაირად აღბეჭდილი ფირზე. 50-იანი და 60-იანი წლების ფილმებია: „ხიდი მდინარე „კვაიზე“, „იარაღი ყვავზე“... 70-იანი, 80-იანი წლების სურათებია: „შველზე მონადირე“ და „აპოკალიფსი დღეს“... 90-იანი წლების ფილმებია „რიგითი რაიანის გადასარჩენად“, „მკრთალი წითელი ხაზი“ და სხვები. რა თქმა უნდა, ეპოქა პრეზიდენტ ნიქსონის ხელმძღვანელობის დროს, წარმოუდგენელია მხოლოდ პატრიოტიზმით წარმოედგინათ. ამიტომ ხშირად ფილმები გამოდიოდა ცინიკური, ხოლო დღეს, სპარსეთის ყურის ბრძოლების შემდეგ, ფილმებს შეემატა პატრიოტიზმი და ენთუზიაზმი. ომის ისტორიკოსს სტივენ ემბროუზს, რომელიც წერს ქრონიკებს ბრძოლების თემატიკაზე, 2000 წლისათვის დაგეგმილი აქვს მუზეუმის გახსნა – იგი აღნიშნავს, რომ ხალხი მოითხოვს გმირების აღიარებას, რადგან მათი სჯერათ.

კინოკრიტიკოსი სტივ რუბინი, ავტორი წიგნისა „ომი კინოში“ აღნიშნავს: „რამდენჯერ შეიძლება გამოეყენოთ „ცუდ ბიჭებად“ ნარკომანები და რუსი მოღალატე გენერლები – ნაცისტები ხომ უფრო ეფექტური ბოროტები არიან, ცოტა კორექტული გამოვლინებები, ხოლო ცეცხლი და სროლა ბევრი.“

მიუხედავად ამისა, ეს ჟანრი მაინც რჩება ყველაზე საინტერესოდ თავისი დოკუმენტურობის ელფერით მაყურებელში.

კრისტიან სლეიტერი ნამდვილად შეყვარებულია

სკანდალის მოყვარული კრისტიან სლეიტერი სულ ახლახანს გამოვიდა ციხიდან, სადაც იგი იმყოფებოდა ორი თვის განმავლობაში პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის გამო ნარკოტიკის ზეგავლენის ქვეშ.

ამჯერად მისი არჩევანი შეჩერდა ხორბლისფერ რაიანა ხერონზე, რომელთან ერთადაც ცხოვრობს ჰოლივუდის მთებში.

„ეს ნამდვილი სიყვარულია“, აცხ-



ადებს 28 წლის კრისტიანი. რაღა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიცით, როგორ და რა მიზეზით მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ რაიანა მას როგორც ღმერთი, ისე მოევლინა და შეცვალა უკეთესობისაკენ მსახიობის ცხოვრება.

სილვესტერ სტალონე კვლავ პოლიციელი გახდება

აი, უკვე მეორე ფილმია, სადაც სილვესტერ სტალონე პოლიციელის როლს ასახიერებს ტრილერში „გაწმენდა“. პროექტი გადაამუშავა კინოსტუდია „უნივერსალმა“ და ფილმის ბიუჯეტი შეადგენს 55 მილიონ

ამერიკულ დოლარს, ამავე თანხაში შედის მსახიობის ჰონორარიც. ვარაუდით, ეს თანხა 17 მილიონ 500 ათასი დოლარია. სურათის რეჟისორია ჯიმ გილესპი, რომელიც ცნობილია ახალგაზრდული ფილმ-საშინელებებით. მას 1997 წელს გადაღებული სურათის „პოლიციელის“ შემდეგ დღემდე არ უთამაშია კინოში.

მასალების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით სტუდია „ვიდეო ეკრანს“

ნათია კორახაშვილი

ამჯერად მიზანში ქართული მასმედიაა?!

12 სექტემბერს, საღამოს საათებში, დაუდგენელი ვინაობის თავდამსხმელებმა სასტიკად სცემეს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი და გაზეთის სარეკლამო განყოფილების უფროსი, დავით ოქროპირიძე. დაზარალებულების განცხადებით, თავდამსხმელები გამოირჩეოდნენ სისასტიკით და დაუნდობლობით. ლაშა ნადარეიშვილი და დავით ოქროპირიძე ღვთის განგებით გადარჩნენ.

რა მიზანი ამოძრავებდათ თავდამსხმელებს, უცნობია, მაგრამ თვით ფაქტი, რომ თავს ესხმიან თავისუფალი პრესის წარმომადგენლებს, საგანგაშოა და დამაფიქრებელი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უფრო ადრე, ორი კვირის წინათ, ბარბაროსულად გატეხეს და გაქურდეს გაზეთ „საქართველოს“ კომპიუტერული ცენტრი, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი პრესის მიმართ გარკვეული ძალების მხრიდან ტარდება გეგმაზომიერი და მიზანმიმართული დაშინების კამპანია, რაც, საბოლოო ჯამში, თუ ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებლივ არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებანი, დემოკრატიის უმთავრესი მონაპოვარისა და მისი დამცველის, თავისუფალი მასმედიის დათრგუნვას გამოიწვევს.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქციას და მოვუწოდებთ აღმასრულებელ ხელისუფლებას, ყველა ღონე იხმაროს იმისთვის, რათა მსგავსი ფაქტები არ განმეორდეს.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

სამცხე-ჯავახეთში კატასტროფული მდგომარეობაა

12-13 სექტემბერს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, ბატონები **ნოდარ ნათაძე, ტრისტან ბერიანიძე** და **გელა ღლიღვაშვილი** იმყოფებოდნენ სამცხე-ჯავახეთში. მათი ჩასვლა მიზნად ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საზადისს. ასევე შეხვდნენ მოსახლეობას.

როგორც მათგან შევიტყვეთ, ადგილობრივი მოსახლეობა ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, სამცხე-ჯავახეთშიც კატასტროფულ მდგომარეობაშია. მიწების დიდი ნაწილი ხალხს დაუმუშავებელი აქვს თანხის უქონლობის გამო. მოშლილია სარწყავი სისტემა, ფინანსური კრიზისის გამო ვერ ხერხდება ფართობებში მინერალური სასუქების და ჰერბიციდების შეტანა.

როგორც მოსახლეობა აცხადებს, ადგილობრივი ხელისუფლება არანაირ ღონეს არ ხმარობს მათ დასასაქმებლად.

ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ამ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს, ეს არის ვალეს საბაჟო, სადაც დასაქმებულია 300 კაცი, აქედან მხოლოდ ორია იქაური მოსახლე. მათი აზრით, არის ადგილობრივი მოსახლეობის დისკრიმინაციას. მოსახლეობა იმ დონემდეა მისული, რომ მათი თქმით, სახლ-კარის გაყიდვას აპირებენ და სხვა რეგიონში საცხოვრებლად გადასვლას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეროვნული პარტიების წარმომადგენლები გაიმარჯვებენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და საარჩევნო სიებშიც მოხვდებიან პატიოსანი ადამიანები, რომლებიც შეეცდებიან გამოასწორონ მდგომარეობა, რა თქმა უნდა, თუ მათ ხალხი ნდობას გამოუცხადებს

ნ. ჟანტურია

სატირა

ასე ყოფილა ოდითგან!

„იყო არაბეთს როსტევან“
სპარსეთს აბას, თუ სხვაგან
— სხვა,
მათ ნიჭი დროის ტარების
სულაც არ ჰქონდათ სხვადასხვა.
კარგი ჭამა-სმის, ღრეობის,
მიზანი ჰქონდა ბანფალს,
ეს ამოძრავებს მეფესაც
და ტყეში მცხოვრებ კანბალს.
ასე ყოფილა ოდითგან
უფლის წყალობით, თუ ნებით,
იყო, არის და იქნება
კაცი თავხედი ბუნებით.
ხალხი ბრბო იყო ყოველთვის,
დღესაც ბრბოდ დარჩა,
ცხვრის ფარად,
ვინც „ზემოთ“ მოიკალათებს,
ყველფავს, ძარცვავს და
იპარავს.
ვამბობ ხმამაღლა, ყვირილით,
რა დროს კრძალვა და
რიდია?!
მეფის გვარი და სახელი
მშიერ ხალხს ფეხზე ჰკიდია.
ჭირსა და მდიდრულ ცხოვრებას
კაცი ყველაფერს ეჩვევა,
მაგრამ, სიცოცხლის უფლება
აკი მას ერთხელ ეძლევა!
ამიტომ, ყველას ეხება
ვინაც ქვეყანას განაგებს,
თავისიანს რომ ალაღებს,
სხვებს ნულარ გააჩანაგებს!

ნიკოლოზ იოსებიძე

ხმა ხალხიდან

მრუდე სარკეების ქვეყანა, ანუ ნუთუ ამას სახელმწიფოს მართვა ჰქვია?

მე-8 გვერდიდან

ნაწილებში. ჩვენ კი ქაოსის მიზეზებს სადღაც ვეძებთ და ვერ გვიპოვია.“

ამგვარი დაქვემდებარების აღმზრდელობით სამმართველოს უნდა ხელმძღვანელობდეს პროვინება, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

— ჰქონდეს მტკიცე ოჯახი, ჰყავდეს შვილები, რათა იცოდეს შვილებისა და ოჯახური სითბოს ფასი. ასე, ის სხვის შვილებზეც მეტად იზრუნებს.

— იცავდეს ხელქვეითთა ინტერესებს სამსახურებრივ კონფლიქტურ სიტუაციებში, რაც ზოგჯერ საქმისთვის აუცილებელიც კია. ზრუნავდეს მათ საყოფაცხოვრებო და ოჯახური პირობების შემსუბუქებისათვის. უჩვენებდეს მათ მუშაობის, ქცევის, ადამიანთა მიმართ სამართლიანი და ყურადღებიანი დამოკიდებულების მაგალითებს და სხვა.

მხოლოდ ასეთ მაღალზნეობრივ, ავტორიტეტულ პიროვნებას უნდა მიენდოს აღმზრდელობითი სფეროს ხელმძღვანელობა და არა შემთხვევით პიროვნებას.

უდავოა, ქვეყნის მესვეურებმა პირველ რიგში თავისი ერის ინტერესები უნდა დაიცვას. დღევანდელი მდგომარეობით კი ეს არ ჩანს — სწორედ ამ მთავარს ექცევა ყველაზე ნაკლები ყურადღება დღევანდელ ხელისუფალთაგან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი პოლიტიკა მხოლოდ დროის გაყვანაზეა ორიენტირებული. ეს, რა თქმა უნდა, პასუხობს მათ პირად ინტერესებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ერისას. გამოიკვეთა ხელისუფალთა მიზნებიც:

1) რადაც უნდა დაჯდეს გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა;

2) მისცენ შესაძლებლობა თავის საყრდენ ე. წ. „წითელ ინტელიგენციას“ და სხვებს, განიმტკიცონ გავლენა და მდგომარეობა, მოიწყონ ცხოვრება (ვილები, შვილები — საზღვარგარეთ, აქ — თეატრების, კინოების, სხვა სახალხო ქონების გადანაწილება-ათვისება (მაგალითი — მარჯანიშვილის თეატრის და მის გარშემო ატეხილი აურზაური).

3) ხელისუფლებაში მოიყვანონ ისეთი ახალგაზრდები, რომლებისთვისაც „სამშობლო“ „ბენზინსამშლელი“ ცნება კი არა, არამედ რაღაც ზოგადი, განყენებული რამ იქნება, რათა თავიდან აიცილონ ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ (რაც გარდაუვალად მოხდება) მოსალოდნელი განკითხვა თავის „საქმეთა“ გამო.

ეს სახელმწიფოსთვის სრულიად არაფრისმთქმელი, მაგრამ მათთვის კი უმთავრესი მიზნები განაპირობებენ მათ პოლიტიკას. იმიტომაა ის ასეთი აბდაუ-უბდა, გაუგებარი, პარადოქსული და ანტიეროვნული, რომლის მიღება უჭირს მოსახლეობის ძირითად ნაწილს.

მაგრამ ბოლო არ უჩანს ხელისუფალთა დაპირებებს. ღმერთმა ინებოს ყველაფერი კარგად დასრულდეს, მაგრამ ხომ არ მიდის ყველაფერი იქითკენ, რომ საქმეს ვეღარაფერი გამოასწორებს? ხომ არაა ეს „მშვიდობა“ და „სტაბილიზაცია“ დროებითი, მოჩვენებითი, მოპოვებული ჩვენი მომავალი თაობის სიცოცხლის ფასად და ამდენად უსარგებლო და მიუღებელი? ამაზე რატომღაც არავინ მსჯელობს და რა თქმა უნდა, პასუხსაც არავინ იძლევა.

საჭირო კია!

დასკვნის მაგიერ:

ქვეყანაში არსებულ განუკითხაობისთვის პირველ რიგში პრეზიდენტია პასუხისმგებელი. ასეთ დროს დემოკრატიაზე, ჰუმანურობაზე აპელირება უადგილოა და სიყალბეა. პრეზიდენტი ვალდებულია მართოს სახელმწიფო, სწორად და დროულად გამოიყენოს შეგონების (არა დემაგოგიის), წახალისების (არა დამნაშავეთათვის მედლების დარიგების და დაწინაურების) და დასჯის (არა პატრიოტთა, უფულოთა ციხეში ჩაყრის) მეთოდები სახელმწიფო (და არა პირადი) ინტერესებიდან გამომდინარე. ხოლო თუ ხელისუფლება ამას ვერ აკეთებს, მაშინ ისინი არ არიან სახელმწიფოს მართვისთვის მოწოდებულნი და უნდა გადადგნენ — გზა გაუნთავისუფლონ ახალგაზრდებს, ვინც შეძლებს ყოველივე ზემოთქმულის აღსრულებას, ვინც დაიცავს თავისი ხალხისა და ერის ინტერესებს!

ნუგზარ თავაძე

ამომრჩეველი, რომელსაც არ სძულს სხვა ერები, მაგრამ თავისი ერი სხვებს ურჩევნია (თუ ხელისუფლება შეცდომაში არ ჩაგვითვლის).

სამართალი

«ინტერვიუ» განაჩენთან

მე-9 გვერდიდან

საქონლის ღირებულება — თ. ქ.), რაც იმავე დღესვე აცნობა ფირმა „ელიზი“-ს ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რის გამოც მოილაპარაკეს, რომ ფულის გასატაცებლად საჭირო იყო თავდასხმა, რაზეც ფირმა „ელიზი“-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გააფრთხილა, რომ თავდასხმას სროლა და მსხვერპლი არ მოჰყოლია. ეს უკანასკნელი დაინტერესებული იყო, რომ მის კონკურენტ ფირმა „ომეგა“-ს განეცადა მატერიალური ზარალი, ხოლო გატაცებული ფული სად წავიდოდა, მას არ აინტერესებდა... მის ინტერესს წარმოადგენდა კონკურენტი ფირმისათვის ზიანის მიყენება, რადგან „ომეგა“ დაბლა წევდა სიგარეტის ფასს, რაც არ აწყობდა ფირმა „ელიზი“-ს ერთ-ერთ ხელმძღვანელს...

თ. ქ. — განსასჯელები გ. ბატატუნაშვილი და ზ. ცინცაძე სასამართლო პროცესზე აცხადებდნენ, რომ ისინი არ ყოფილან ფირმა „ელიზი“-ს თანამშრომლები და არავითარი საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონიათ ამ ფირმასთან...

განაჩენი — სასამართლო ვერ გაიზიარებს ამ ჩვენებებს შემდეგ გარემოებათა გამო: წინასწარი გამოძიების დროს გ. ბატატუნაშვილი და ზ. ცინცაძე არაერთხელ მიუთითებდნენ, რომ ისინი თანამშრომლობდნენ აღნიშნულ ფირმასთან, რომ ფირმის ხელმძღვანელები ავალებდნენ მათ სხვადასხვა საქმეებს და ყოველთვეს ხელფასს უხდიდნენ. მეტიც, საქმეში მოთავსებულია შ. პ. ს. „ელიზი“-ს თანამშრმელთა კუთვნილი ავტომობილების სია, სადაც შეყვანილია გ. ბატატუნაშვილი და ზ. ცინცაძე, ასევე ამჟამად მიმალვაში მყოფი სხვა პირებიც... ფირმა „ელიზი“-ს ბუღალტერიიდან გელა ბატატუნაშვილზე იცემოდა თანხები...

თ. ქ. — „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ ნომერში „ელიზელთა“ ბანდის მეთაურობაში ბრალდებულმა თამაზ ელიზბარაშვილმაც („ელიზი“-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა) განაცხადა, რომ მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ მის ფირმასთან...

განაჩენი — წინასწარი გამოძიების ორგანომ დაკითხა რა მოწმის სახით ფირმა „ელიზი“-ს პრეზიდენტი თ. ელიზბარაშვილი, ამ უკანასკნელმა აჩვენა: „... 1994 წლიდან ფირმაში ჩამოვაყალიბე დაცვის სამსახური. ამ სამსახურის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, მისი დაკომპლექტება დავავალე ჩემს ნათესავს გელა ბატატუნაშვილს... გელას ხელმძღვანელობით ეს სამსახური ფირმის, ოფისის, სასაწყობო მეურნეობის და ტერიტორიის დაცვას ახორციელებდა... ზურაბ ცინცაძეს არაოფიციალურად ვამუშავებდი ჩემი ფირმის საქმეებზე ის ღამით ამოწმებდა ჩვენს სავაჭრო ჯიხურებს, რათა მათზე თავდასხმა არ მომხდარიყო.“

აქ ვწყვეტთ არაორდინალურ „ინტერვიუს“ განაჩენთან, რომელიც საკასაციო წესით არ გასაჩივრდება და არ გაპროტესტდება, ძალაში კი გამოქვეყნებისთანავე შედის.

თუმცა, წინ ზედამხედველობის წესით საჩივრის განხილვა, ბრალდებულ თამაზ ელიზბარაშვილისა და სხვათა მიმართ ცალკე წარმოებად გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების განახლება, შემდეგ კი, ალბათ, კიდევ ერთი განაჩენი გველოდება, რომელთან „ინტერვიუც“, ვფიქრობ, გაცილებით საინტერესო იქნება წინამორბედ განაჩენთან შედარებით.

თამაზ ძველაძე

ახალი წიგნები

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი თანამედროვე პიროგებში

თანამედროვე პიროგებში

ნაწილი პირველი

წიგნში საკმაო ზომითაა წარმოდგენილი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები, დახასიათებულია ქვეყნის ხელისუფლების მიერ საგარეო ვაჭრობაში აღებული კურსი და ექსპორტ-იმპორტის რეგულირების სახელმწიფო მექანიზმი. საგარეო ურთიერთობათა პრიორიტეტებს შორის მასში სწორი აქცენტია გაკეთებული როგორც ევროპის შესაბამის სტრუქტურებთან, ისე შავი ზღვის აუზის ალაინსის და დსთ-ს წევრ ქვეყნებთან დაბალანსებული ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა, ობიექტურადაა შეფასებული საქართველოს როლი ევროპისა და აზიის დაკავშირების საქმეში.

გამოვიდა ალმანახი „კრიტიკა“

ხუთწლიანი იძულებითი დუმილის შემდეგ დღის სინათლე იხილა ალმანახმა „კრიტიკამ“. ალმანახი ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გამოდიოდა და საუკეთესო მეგზური იყო იმ ადამიანებისათვის, ვინც დაინტერესებულია ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, მსოფლიო ლიტერატურის საგანძურთა სიღრმეებში წვდომით, ლიტერატურული ქმნილებებისა და საერთოდ, სულიერ ფასეულობათა ახლებური გააზრებით.

„კრიტიკა“ ასევე გვერდს არ უვლიდა ქვეყნისთვის საჭირბოროტო ბევრ საკითხს და მის ფურცლებზე არაერთი პოლემიკაც გამართულა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების ღირსეულ წევრთა თანადგომით ალმანახი და მისი მთავარი რედაქტორი, ბ-ნი **ალეკო გაბელაია** ღირსეულად გააგრძელებენ იმ ტრადიციებს, რაც თავიდან მოსდგამს „კრიტიკას“ და შეძლებენ პირუთვნელად ამხილონ უსახური, ჩვენთვის უცხო, მიუღებელი მიმდინარეობები თუ დინებები ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში და საერთოდ, ქართულ სულიერებაში.

წარმატებებს ვუსურვებთ „კრიტიკის“ მესვეურთ და მის თანამდგომთ ამ სასიქადულო, ფრიად საჭირო საქმეში.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

„ᲢᲝᲢᲝ-ᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

კვირას, 13 სექტემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“-ს და თანმხლები თამაშის „სუპერ-7“-ის მე-20 ტირაჟის გათამაშება.

„ლოტო 6-42“-ს მოგებახვედრილი რიცხვებია:

3. 9. 21. 25. 35. 41.

3 რიცხვი — 1.30 ლარი
4 რიცხვი — 11.70 ლარი
5 რიცხვი — 963.90 ლარი
6 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. „ჯეკ-პოტი“ 53 892 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

„სუპერ 7“-ის მომგებიანი ციფრებია **0108733**

შემდეგი ტირაჟი შედგება 20 სექტემბერს.

„ჯეკ-პოტი“ 53.892 ლარი

ითამაშეთ ლატარია „ტოტო-ლოტო“!

გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

ვულოცავთ მარინა ლეკიშვილს დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მეუღლისა და შვილების დღეგრძელობას და ბევრ, ბევრ სიხარულს თქვენს ახლობლებთან ერთად.

თქვენი თეა, სერგო, ლაშა, ნათია და ინგა ჯანაშიები.

განცხადებები

ვამეცადინებთ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიაში, ინგლისურ ენაში. ტელ.: 25-23-24 მზია

იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა, ტელეფონით, ბუხრით.
ქავთარაძის ქ. №25, კორპ. 2, ბინა 92. ფასი შეთანხმებით
ტელ: 30-24-50 ან 98-42-09

იყიდება 3-ოთახიანი ბინა კოსმეტიკური რემონტით, დიდი სარდაფით, რკინის კარებით, ტელეფონით. ვაჟაფშაველას VI კვარტალი, 19 კორპ. სად. I, ბინა 1. ფასი 14000 დოლარი

იყიდება სამოთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა ტელეფონით, მაჩაბლის ქუჩაზე, საერთო ფართი 166 კვ. მ., საცხოვრებელი 64 კვ. მ. ჭერის სიმაღლე 3,80 მ. ტელ: 35-09-96, საღამოს საათებში 63-35-63

ვაქირავებ 2-ოთახიანი ბინის 1 ოთახს, სტუდენტ გოგონებზე. მისამართი: გლდანის მასივი, პირველი მიკრ. რ., მე-9 კორპ. მე-2 სადარბაზო, ბინა 45. ტელ: 67-45-64, მეტრო „ახმეტელთან“.

იყიდება რუსეთის წარმოების დიზელ-გენერატორი 200 კილოვატიანი სიმძლავრით, საუკეთესო მდგომარეობაში. საწყისი ფასი 9000 ლარი. ტელ.: 96-10-50. თამაზი. შესაძლებელია ანგარიშსწორება გადარიცხვით.

ქეთი, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

მაუგლი

მილოცვა

ჩემს მეგობარს ქეთი ჩადუნელს ვულოცავ დაბადების დღეს. ქეთი, გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში. ასეთი მშვენიერი და მომხიბვლელი იყავი ყოველთვის.

ნათია ღოღობერიძე

ცოტნე ჯანელიძეს!

ჩვენო საყვარელო ცოტნე, გილოცავთ დაბადების დღეს და პირველად შენთვის სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხუთებზე სწავლას, ულევ სიხარულს და ვაჟკაცურად გაზრდას. წმინდა ღვთისმშობლის მადლი გფარავდეს.

ბებია გულნაზი და ბაბუა ვალოდია ჯანელიძეები

სახაზინო საწარმო საქკომუნრემმშენის №1 წარმომადგენლობა, რომელიც რეგისტრირებულია საბურთალოს სასამართლოს მიერ (20 აგვისტო 1996 წელი, რეგისტრაციის №5ა-8-13) აცხადებს ლიკვიდაციას. კრედიტორებს ვთხოვთ გამოცხადდნენ წარმოების ოფისში. თბილისი, გოძიაშვილის ქ. №20. ტელ. 52-19-58.

ადმინისტრაცია

კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად: 7. წინასწარი ზომები ზარალის კომპენსირების მიზნით; 8. თამასუქის განაღდებისათვის დაკავებული პროცენტი; 9. ფილტრიანი ნიღაბი ჰაერით მოწამვლის წინააღმდეგ; 10. ორი ეკლესიის გაერთიანება; 12. რისამე დედააზრი, ჩანაფიქრი; 13. უძრავი ქონების ვადიანი დაქირავება; 15. ადამიანის სახის გამომეტყველება; 17. ფულის ერთეული ესპანეთში; 18. ათასჯერ ათასი; 21. სინამდვილის ილუზიის მატარებელი სიყალბე; 22. სინამდვილის არასწორი აღქმა მცდარი შეგრძნების შედეგად; 23. ტერიტორიის მმართველი დაღესტანში შამილის დროს; 25. ბრტყელი, მართკუთხედად დაპრესილი რაიმე ნივთიერება; 26. ერთ-ერთი დიდი აბორიგენი ამერიკული ტომის წარმომადგენელი; 27. ერთზე მეტი ფუძისაგან შემდგარი სიტყვა; 29. ავადმყოფობის დადგენა გამოკვლევის შედეგად; 30. ფორტეპიანოს დამკვრელი მუსიკოსი.

შვეულად: 1. თავდებობა რისამე წარმატების უზრუნველყოფის მიზნით; 2. დაგრაგნილი მავთულის ერთი მარყუჟი; 3. მედლის წინა მხარე; 4. მოსაწევად მჭიდროდ დახვეული თამბაქოს ფურცელი; 5. მიწის ფართის ინგლისურ-ამერიკული საზომი ერთეული; 6. უმაღლესი სასწავლებლის ტიპი; 14. სპორტული შეჯიბრის მსაჯი; 16. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები; 17. რაიმე შეჯიბრში გამარჯვებისათვის დაწესებული ჯილდო; 19. ზოგი არსების თვისება — ფორმით ან ფერით დაემსგავსოს სხვა არსებას ან საგანს; 20. ფაიფურის ნაირსახეობა; 23. მუსლიმანთა ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა; 24. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება; 27. თხელი გარსი ორგანიზმისა; 29. დამუხტული მოლეკულა.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. არტილერია; 8. დიქცია; 9. დედალი; 11. ადენომა; 14. ბნედა; 15. კანოე; 18. რეზიუმე; 19. იგუანა; 20. გნისი; 21. მუშმალა; 22. ტრესტი; 24. ლიმონი; 26. ტოსტერი; 27. გინეა; 28. ავიზო; 29. ბალასტი; 33. ხვედრი; 34. აფაზია; 35. სემინარია.

შვეულად: 2. რაცია; 3. იოანე; 4. ენდრო; 5. იუდეა; 6. ბიანდრია; 7. კლიმაქსი; 10. ინაუგურაცია; 12. ნუმიზმატიკა; 13. ფოტოსინთეზი; 16. კრამიტი; 17. რეგალია; 24. საფერავი; 25. მალვაზია; 29. ბოდბე; 30. ლეიბი; 31. სიათა; 32. იფანი.

გახსენება

ლევან მეგრელიშვილი



მეგობრის პოვნა ძნელია, დაკარგვა კი ტკივილი...

სიცოცხლეში ხშირად ვერ ვაცნობიერებთ ერთმანეთის ღირსებებს, გრძნობების გამოხატვაც კი გვიჭირს.

დავკარგავთ... და მერე წამოტივტივდება გონებაში მისი ცხოვრება, ავი თუ კარგი და სინანული გვეუფლება.

იქნებ უფრო მეტად ვჭირდებოდით ერთმანეთს?

იქნებ დავაკელით ერთმანეთს რაიმე?

და ტკივილი მძაფრდება...

„მეგობარი ჭირში იცნობაო“... ზოგი ადამიანის თვალი კი არა, გულია ხარბი. ხეხილი იმ დროს უყვართ, როცა მსხმოიარეა, უნაყოფობის დროს ჩრდილიც კი აღარ უნდათ მისი.

ლევანი განსხვავებული იყო. თუმც ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. კეთილი იყო და სიკეთეს სთესდა. უსამართლობას ვერ იტანდა და ბობოქრობდა, ლიდერი იყო და ლიდერობდა, ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცობდა და ეს იმდენად ბუნებრივად იყო მისი გულიდან აღმოცენებული, სიყალბის მარცვალიც კი არ ერია. მაშინაც კი, როცა ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმას პირადი კეთილდღეობის დაკარგვის შიშით სწონიდნენ, ეროვნულმა სძლია პირადულს...

არც სიცოცხლე დაიშურა სამშობლოსათვის. სულით ხორცამდე მშენებელი ომის ქარცეცხლში, ტყვიების წვიმასა და ქვემეხების გრგვინვაში სკოლებისა და საცხოვრებელი სახლების აღდგენაზე მუშაობდა. მტერი ანგრევდა, ის ჯიუტად აშენებდა და თუმცა აშენებული ისევ ინგრეოდა, კვალი ქართული გენის შეუპოვრობისა დაშანთულივით რჩებოდა ნანგრევებს. სოხუმში ისევ შეუპოვრად იდგა ამწეები, ექსკავატორები და ბულდოზერები. ბევრი მშენებელი დაიღუპა, მაგრამ მათი უკიდურესი თავგანწირვა სამაგალითოდ დარჩა მომავალ თაობას.

ლევანი გადაურჩა მტრის ტყვიას. ბრძოლა არ შეუწყვეტია. ის თანაგრძნობა, რასაც ომგამოვლილი ადამიანებისადმი იჩენდა, ბრძოლის გაგრძელება იყო. ბევრი ლტოლვილი დააბინავა, ბევრს მატერიალურად დაეხმარა და მათ შორის ჩვენც. ჩვენ, ვინც აფხაზეთში ტყვედნამყოფები, აფხაზთა მიერ დანდობილნი სამშობლოში არ დაგვინდეს. რკინიგზის დაცვა კი არა, დეპარტამენტის დაცვაც კი აღარ გვანდეს და მორალურ შეურაცხყოფასთან ერთად, უსახსრებოდ დაგვტოვეს. ლევანი ერთადერთი იყო ყოფილ რკინიგზელთაგან, ვინც მოწმე გახდა ომის საშინელი სინამდვილისა. ამიტომაც დაინახა ჩვენში ის, რაც სხვისთვის მიუწვდომელია. ჩვენმა დროებითმა უმოქმედობამ კი არ შეაშინა, აღაშფოთა, რადგან ნათლად ხედავდა ჩვენი უმოქმედობის ჭეშმარიტ ძალას.

გული მტკივა, რომ ლევანი უდროოდ გამოაკლდა მეგობრებსა და ქვეყანას.

ზურაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 65447

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე
რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), თემურ კოზოლაშვილი (რეალიზაციის განყოფილების გამგე), კორესპონდენტები: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჯანიძე, ნანა ძველაია.
კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444